

წლიური ანგარიში

2018



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია  
GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული  
კომისიის წლიური ანგარიში

2018



# სარჩევნი

კახა ბეჟაური - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	6
მედიაინფორმაცია	10
მედიააკადემია	11
მეგა მონაცემები	12
ინტერნეტის ხარისხის კონტროლი	13
მობილური და ფიქსირებული საბითუმო ბაზრის ლიბერალიზაცია	14
მცირე და საშუალო ზომის ოპერატორებს ინტერნეტის საბითუმო მომსახურების ხარჯი 7-8-ჯერ შეუმცირდათ	15
დამტკიცდა სატელეკომუნიკაციო ქსელებით მომსახურებებისთვის კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი	15
განახევრდა ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურების ტარიფები	16
მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთიართვის ტარიფები დაახლოებით 4-ჯერ შეამცირა	16
სატარიფო პოლიტიკა	17
ფიქსირებული და მობილური ქსელების კონსოლიდირება	18
ელექტრონული კომუნიკაციების დარგის განვითარების ტენდენციები	19
მობილური კომუნიკაციები	20
მობილური შემოსავლები მშპ-სთან მიმართებაში	22
მობილური ინტერნეტი	26
სახელმწიფო კონსოლიდირებული ტენდერის 2018 წლის მონაცემები	30
როუმინგი	32
მობილური ნომრების პორტირება	34
მობილური აპარატების განაწილება მწარმოებლების მიხედვით	35
მობილური კომუნიკაციების 2018 წლის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები	36
ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურება	37
კომბინირებული შეთავაზებების მოხმარება	52

მაუწყებლობის ტრანზიტი	53
ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება	57
ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები	59
<b>ქართული კანონების ჰარმონიზაცია ევროკულ კანონმდებლობასთან</b>	<b>60</b>
„ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ საქართველოს კანონის ცვლილებების პაკეტი	61
„დამმობილების პროექტის (ტვინინგის) მხარდაჭერით, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებები	61
„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების პაკეტი	62
<b>მაუწყებლობა</b>	<b>63</b>
წინასაარჩევნო მონიტორინგი	64
პროდუქტის განთავსება	65
რადიო მაუწყებლობის პრიორიტეტები	65
2012-2017 წლების სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების ანალიზი	66
<b>მაუწყებლობის დარგის განვითარების ტენდენციები 2018 წელს</b>	<b>67</b>
პირდაპირ და გადახვევის რეჟიმში ყურებადობის ქცევა	69
მაუწყებლობაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები	71
სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანები	71
<b>საერთაშორისო თანამშრომლობა</b>	<b>72</b>
<b>დანართები</b>	<b>75</b>
დანართი 1. კომისიის სტრუქტურა	75
დანართი 2. კომისიის ბიუჯეტი	76
დანართი 3. მომხმარებელთა საჩივრების სტატისტიკა	78
დანართი 4. ლიცენზირება და ავტორიზაცია	79
დანართი 5. „ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი	80
დანართი 6. აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი	83
დანართი 7. რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა	85
დანართი 8. FAMS - მონიტორინგის სისტემა	85
დანართი 9. თავისუფალი სიხშირული რესურსი	85
დანართი 10. განხილული დავები	86
დანართი 11. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება	88
დანართი 12. დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა	97
დანართი 13. სასამართლო დავები	102
დანართი 14. აუდიტის დასკვნა	115

## კახა ბეჟაური - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე



2018 წელი სატელეკომუნიკაციო დარგისთვის ნაყოფიერი, საინტერესო გამოწვევებით, მიღწევებით და წარმატებებით იყო დატვირთული.

პირველ რიგში, ბაზრის წარმატებისა და განვითარების მთავარ ინდიკატორებზე მსურს გავამახვილო ყურადღება. ბოლო წლების დინამიკა აჩვენებს, რომ სატელეკომუნიკაციო ბაზარი დინამიურად მზარდია, რაც ამ დარგის სწრაფი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი და აუცილებელია. ეს დინამიკა 2018 წელსაც გაგრძელდა და გასულ წელს, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირების მიერ მიღებულმა შემოსავალმა 1,237 მლნ ლარი შეადგინა, 2017 წელს კი - ეს თანხა 1,220 მლნ ლარი იყო. გარდა იმისა, რომ დინამიურად იზრდება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში არსებული კომპანიების შემოსავლები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყოველწლიურად იმატებს ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტის აბონენტების რაოდენობა. მაშინ, როცა 2017 წელს აღნიშნულ ბაზარზე პენეტრაცია 66.4% იყო, 2018 წელს ეს ციფრი 73.6% -მდე გაიზარდა. აბონენტების რაოდენობის ასეთი ზრდა, სწორედ ეს პარამეტრი არის ყველაზე ზუსტი საზომი, იმისა, თუ რამდენად ვითარდება ყოველწლიურად ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარი.

საინტერესო ტენდენცია ფიქსირდება მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლებში. 2019 წლის პირველ კვარტალში 2018 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, სატელევიზიო სარეკლამო ბაზარზე 8% -იანი ზრდა დაფიქსირდა. 2019 წლის პირველ კვარტალში, მაუწყებლებმა 14,288,379 ლარის შემოსავალი მიიღეს, მაშინ, როცა 2018 წელს ეს მაჩვენებელი 13,393,523 ლარი იყო. რაც შეეხება სარეკლამო შემოსავლებს - ამ მიმართულებით 2018 წელს მაუწყებლებმა 83,845,826.48 ლარი მიიღეს, 2017 წელს კი - 84,087,810.68 ლარი. სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლები მუდმივად მზარდი არ არის და ერთ ნიშნულზე ფიქსირდება, თუმცა, აღსანიშნავია, ქართულ სამაუწყებლო ბაზარზე არსებული სტაბილური მდგომარეობა. საყურადღებოა, რომ ბოლო კვლევებით ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება ევროპის 20 ქვეყანაში, გამომდინარე იქედან, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ყოველდღიურად ვითარდება ციფრული მედია და სარეკლამო თანხები ტრადიციული მედიიდან სწორედ ახალ მედიაში მიდის. მიმაჩნია, რომ ამ ტენდენციის გათვალისწინებით, ყველა ტრადიციულმა მაუწყებელმა ფეხი უნდა აუწყოს ახალ გამოწვევებს და განავითაროს ციფრული პლატფორმები.

2018 წელი საინტერესო, ინოვაციებით და გამოწვევებით სავსე იყო ჩვენთვის, კომისიისთვის, მაგრამ განსაკუთრებით მინდა გამოვყო ინტერნეტის ხარისხის კონტროლის სისტემის დანერგვა, ვინაიდან ეს პროექტი თითოეულ მოქალაქეს და მათთვის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფას ეხება. ინტერნეტის ხარისხის სისტემის დანერგვაზე მუშაობა კომისიამ სწორედ 2018 წელს დაიწყო და ეფექტური მუშაობის შედეგად, 2019 წლის 20 მარტიდან, მომხმარებელს მივეცით ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც, მათ შესაძლებლობა აქვთ გაზომონ ფიქსირებული ინტერნეტის სიჩქარე და ხარისხი, შეამოწმონ რამდენად იცავს მისი პროვაიდერი კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და არის თუ არა მათი უფლებები დაცული. ინტერნეტის ხარისხის კონტროლის სისტემა ყველა აბონენტს აძლევს საშუალებას მისთვის სასურველ დროს შეამოწმოს იღებს თუ არა გადახდილი თანხის ადეკვატურ მომსახურებას, ხოლო თუ დარღვევას დააფიქსირებს, კომისია კომპანიების მიმართ კანონით გათვალისწინებულ ზომებს გაატარებს და მკაცრად დაიცავს მომხმარებლების უფლებებს. კომისიის საქმიანობა ფოკუსირებულია სატელეკომუნიკაციო პროდუქტების მომხმარებლების, ჩვენი საზოგადოების ინტერესების დაცვაზე და ამ მიმართულებით, კომისია როგორც მიმდინარე წელს, ასევე, მომავალში აქტიურ და ქმედით ნაბიჯებს გადადგამს.

კომისიისთვის 2018 წელი მართლაც გამორჩეული იყო, ვინაიდან ჩვენმა ორგანიზაციამ კანონით დაკისრებულ ახალ და ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვან გამოწვევაზე, კერძოდ, მედიაწიგნიერების განვითარებაზე დაიწყო მუშაობა. ერთწლიანადში ამ მიმართულებით კომისიის აპარატმა, არ მოვერიდები და ვიტყვი, შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. კერძოდ, გასულ წელს ევროპული გამოცდილებისა და წარმატებული პრაქტიკის გათვალისწინებით, დავამტკიცეთ მედიაწიგნიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, კომისიაში შევქმენით მედიაწიგნიერების დეპარტამენტი, რომელიც მედია პროდუქტების მომხმარებლების, ჩვენი საზოგადოების მედიაწიგნიერების განვითარებაზე იზრუნებს. ამავე მიზნის მისაღწევად, დავაფუძნეთ ა(ა)იპ „მედიასაკადემია“, რომლის ძირითადი ამოცანაც მედიის, ჟურნალისტების, პროდიუსერებისა და მედია მენეჯერების კვალიფიკაციის ამაღლებაა.

საზოგადოების მედიაწიგნიერების განვითარებისთვის 2019 წელს ხუთ მნიშვნელოვან პროექტს განვახორციელებთ. მინდა გამოვყო პროექტი, რომელიც ძალიან დიდი წარმატებით დავინწყეთ. 25 ენაზე ნათარგმნი და აღიარებული წიგნი „გამარჯობა რუბი“ უკვე გამოვეცით ქართულ ენაზე. კომისიამ მოკლე დროში, ფინური წიგნების სერიის ავტორი, „ფორბსის“ მიერ ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე

საუკეთესო 50 ქალს შორის და ევროკომისიის მიერ „ციფრულ ჩემპიონად“ აღიარებული, ლინდა ლიუკასი საქართველოში ჩამოიყვანა და 60-ზე მეტი მასწავლებელი და ტრენერი გადაამზადა, იმისთვის, რომ მესამე-მეოთხე კლასების მოსწავლეებმა პროგრამირების სამყაროში იმოგზაურონ და კომპიუტერული მეცნიერების საფუძვლები, თამაშისა და მსოფლიოში უკვე აღიარებული მეთოდით შეისწავლონ. დიდი წარმატებაა, რომ განათლების სამინისტროსთან აქტიური და მჭიდრო თანამშრომლობით, სამინისტროს რეფორმის ფარგლებში, ამ წიგნით სექტემბრიდან საჯარო სკოლებში დაწყებითი კლასის მოსწავლეები ისწავლიან, ორ კერძო სკოლაში კი, წიგნით სწავლება სავალდებულო საგანი იქნება. ეფექტური და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მინდა მადლობა გადავუხადო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და პირადად მინისტრს, 2019 წელს მოზარდებში მედიანინგნიერების განვითარების მიმართულებით, ყველა პროექტი სამინისტროსთან თანამშრომლობით განხორციელდება.

რაც შეეხება „მედიასაკადემიას“, ის მედიანინგნიერების განვითარებაზე სამი მიმართულებით იმუშავებს: „მედია სკოლა“, „მედია კრიტიკა“ და „მედია ლაბი“. „მედია სკოლა“ მედიის სფეროს წარმომადგენლებს გრძელვადიან და მოკლევადიან სასწავლო კურსებს სთავაზობს, ჩვენი ამოცანაა მედიას თანამედროვე ეპოქაში არსებული გამოწვევების დაძლევაში დავეხმაროთ, იმისთვის, რომ ცვალებად და დინამიურ გარემოში ფეხი აუწყონ მსოფლიოში არსებულ ტენდენციებს. 2018 წელს ამ მიზნით, ჩვენ საქართველოში ამერიკელი მედიამენეჯერი მიჩ სემელი ჩამოვიყვანეთ, რომელმაც 50 მედია მენეჯერს ორდღიანი მასტერ კლასი ჩაუტარა. ასევე, ჩავატარეთ რამდენიმე ტრენინგი, რომელსაც როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ და ეს პროცესი მომავალში კიდევ უფრო აქტიურად გაგრძელდება.

მინდა ასევე ვისაუბრო „მედია კრიტიკის“ პლატფორმაზე, რომელიც ერთის მხრივ თავად ჟურნალისტებსა და პროდიუსერებს შეუწყობს ხელს პროფესიულ განვითარებაში, ხოლო მეორეს მხრივ, მომხმარებელს დაეხმარება გაარჩიოს ერთმანეთისგან ხარისხიანი და უხარისხო მედია პროდუქტი. 2019 წლის გამოწვევა სწორედ კვალიფიციური და ჯანსაღი მედია კრიტიკის პლატფორმის შექმნა და ამუშავებაა, რომელზეც „მედიასაკადემია“, ჩვენი გუნდი აქტიურად მუშაობს.

2019 წლის კიდევ ერთი გამოწვევა არის „მედია ლაბი“ - ლაბორატორია, რომელიც ხელს შეუწყობს ციფრული მედიის მიმართულებით სტარტაპების მხარდაჭერას და დაფინანსებას. ეს იქნება ადგილი, სადაც სტარტაპერებს, რომლებსაც ციფრული მედიის მიმართულებით საინტერესო და ინოვაციური იდეები ექნებათ, მივცემთ დაფინანსებას და პროექტების განხორციელებაში დავეხმარებით.

გასული წელი ძალიან ნაყოფიერი იყო ფიქსირებული და საბითუმო ბაზრის ლიბერალიზაციის კუთხითაც, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ამ მიმართულებით მართლაც რევოლუციური გადაწყვეტილებები მივიღეთ. ფიქსირებული ბაზრის ლიბერალიზაცია ელექტრონული კომუნიკაციების დარგში კონკურენტული გარემოს, ხარისხიანი სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღებისა და მომხმარებლების ინტერესების დასაცავად ყველაზე სწორი, ეფექტური და აუცილებელი პირობაა.

2018 წელს ჩვენი გუნდის აქტიური მუშაობის შედეგად, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, მცირე და საშუალო ზომის ოპერატორებს ინტერნეტის საბითუმო მომსახურების ხარჯი 8-ჯერ შეუმცირდათ. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უპრეცედენტოა და ის ძალაში 2019 წლიდან შევიდა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ გადაწყვეტილების შედეგად, მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარდება, რაც საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ მომხმარებელს მოუტანს სიკეთეს, რომელიც გაზრდილი კონკურენციიდან გამომდინარე, ხარისხიან ინტერნეტს უფრო ხელმისაწვდომ და კონკურენტულ ფასად მიიღებს.

2018 წელს მივიღეთ კიდევ ერთი აუცილებელი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, განახევრდა ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურების ტარიფები. თუმცა, ეს პროცესი 2019 გავაგრძელებთ და მაისში მიღებული გადაწყვეტილებით, გლობალური ინტერნეტის საბითუმო ტარიფი რეკორდულად - 32 ლარიდან 9 ლარამდე შევამცირეთ.

საკვანძო გადაწყვეტილება მივიღეთ მობილური და ფიქსირებული სატელეფონო საბითუმო ბაზრის ლიბერალიზაციის მიმართულებითაც. LRIC-ის მოდელის მიხედვით, მოხდა მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი დანახარჯების გაანგარიშება, რის საფუძველზეც, მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფები 4-ჯერ შეუმცირდა და გადაწყვეტილება ძალაში ეტაპობრივად შევიდა. მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე კომპანიებისთვის ურთიერთჩართვის მომსახურებაზე ზედა ზღვრული ტარიფები დავანესეთ, რომელიც მობილურ ქსელში - 3.5 თეთრიდან 0.75 თეთრამდე შევამცირეთ, ხოლო ფიქსირებულ ქსელში - 2 თეთრიდან - 0.28 თეთრამდე. ყველა გადაწყვეტილება, რომელიც საბითუმო ბაზრის ლიბერალიზაციისთვის მივიღეთ, მიმართულია ბაზრის გაჯანსაღებისკენ, ბაზარზე კონკურენციის გაზრდისა და მცირე და საშუალო ოპერატორების გაძლიერებისკენ. როგორც უკვე

აღვნიშნე, ამ გადაწყვეტილებების საბოლოო მიზანიც ხარისხიანი მომსახურებების გაზრდა და ფასების შემცირებაა, რომელიც მთლიანობაში, მომხმარებლის ინტერესების დაცვას და მათ კეთილდღეობას ემსახურება.

მობილური ბაზრის ლიბერალიზაციის მიმართულებით, 2019 წელს კომისიისთვის კიდევ ერთი გამოწვევა ამ ბაზარზე ვირტუალური ოპერატორების დაშვებაა, რაც დარგის განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა. ვირტუალური ოპერატორების ბაზარზე დაშვებით მკვეთრად გაიზრდება კონკურენცია. ჩვენი გადაწყვეტილების შემდეგ, ვირტუალური ოპერატორები საკუთარი ინფრასტრუქტურის გარეშე, ბაზარზე თავისუფლად შეძლებენ უკვე არსებული დიდი ოპერატორების ინფრასტრუქტურით ისარგებლონ. ვირტუალური ოპერატორების ბაზარზე შემოსვლა მობილურ მომსახურებებზე კონკურენციას მაქსიმალურად გაზრდის, რაც იმის გარანტია, რომ პირველ ეტაპზე ფასების გაზრდა ვერ მოხდება, შედარებით გრძელვადიან პერიოდში კი, ის ფასების შემცირებას შეუწყობს ხელს. დღეს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ყველაზე ნაკლები კონკურენცია სწორედ მობილურ ხმოვან მომსახურებაზეა და ჩემი, როგორც კომისიის თავმჯდომარის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი 2019 წელს, სწორედ ამ საკითხის სწრაფად, ეფექტიანად და მომხმარებლების ინტერესების სასარგებლოდ გადაჭრაა.

2019 წლის კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი და დიდი გამოწვევა მეხუთე თაობის (5G) მობილური ინტერნეტის ტექნოლოგიის დანერგვის სტრატეგიის შემუშავებაა, რომელზე მუშაობაც გასულ წელს დავიწყეთ. 5G ტექნოლოგიის დანერგვაზე მთელი მსოფლიო აქტიურად მუშაობს და ჩვენ გვაქვს ამბიცია, საქართველო მუდმივად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ავანგარდში იყოს, ამიტომ საამაყოა, რომ საქართველო სწორედ განვითარებულ ევროპულ ქვეყნებთან ერთად გეგმავს ამის გაკეთებას. მაისში კომისიამ ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის 19 ქვეყნის მარეგულირებელი კომისიების თავმჯდომარეებს უმასპინძლა, კონფერენციის ძირითადი თემა, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, სწორედ 5G ტექნოლოგიის დანერგვის სტრატეგიის ერთობლივად შემუშავება იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციაზე კიდევ ერთხელ წარმოჩინდა საქართველო, როგორც ქვეყანა, რომელსაც ამ მიმართულებით, მონინავე პოზიციები უკავია. აღნიშნული შედეგები საერთაშორისო მიმართულებით ჩვენი ეფექტური მუშაობის შედეგია.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო კომისიის თითოეულ თანამშრომელს ყველა იმ პროექტისა და მიღწევისთვის, რომელიც 2018 წელს გვქონდა. ჩვენი გუნდისთვის ეს შედეგები ნამდვილად საამაყოა, მაგრამ ამასთან, კარგად გვესმის, რომ წინ კიდევ უფრო დიდი გამოწვევებია.

სატელეკომუნიკაციო სფერო ყოველდღიურად ვითარდება, ახალი ტექნოლოგიების სწრაფად და ეფექტიანად დანერგვა კი, ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი წინაპირობაა. სწორედ ამიტომ, კომისია - ჩვენი გუნდი ვაგრძელებთ სატელეკომუნიკაციო დარგის განვითარებაზე ზრუნვას და დარწმუნებული ვარ, ყველა გამოწვევას რეალურ შედეგად ვაქცევთ.

## მედიაინჟინერება

2018 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით, მედიაინჟინერების განვითარებისა და ხელშეწყობის ფუნქცია დაეკისრა. ქვეყანაში მედიაინჟინერების განვითარებისა და საზოგადოებაში ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით, კომისიამ ევროპული გამოცდილებისა და წარმატებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ბრიტანულ ექსპერტ, მარტინა ჩეპმენტან<sup>1</sup> ერთად მედია ინჟინერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, რომელსაც კომისია ოთხი ძირითადი მიმართულებით განახორციელებს.

პირველი - მედიაინჟინერების შესახებ საზოგადოების, მშობლებისა და პედაგოგების ჩართულობით, ბავშვების, მოზარდების ცნობიერების დონის გაზრდა, მათი მავნე ზეგავლენისგან დაცვა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარებაა. სწორედ ამ მიზნით, კომისიაში შეიქმნა და უკვე აქტიურად მუშაობს მედიაინჟინერების დეპარტამენტი. მედიაინჟინერების განვითარებისთვის კომისია 2019 წელს ხუთ მნიშვნელოვან პროექტს განახორციელებს, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნების წარმატებული პრაქტიკის შესწავლისა და ეფექტიანობის შეფასების შედეგად შეიქმნა:

- „თავგადასავალი პროგრამირების სამყაროში“ და „მოგზაურობა კომპიუტერში - ნიგნების სერია“ „გამარჯობა რუბი“ მიზნად ისახავს დაწყებითი კლასის მოსწავლეების მიერ კომპიუტერული მეცნიერებების საწყისების დაუფლებას, მოზარდებში კრიტიკული შეფასებისა და ანალიზის უნარის განვითარებას. ეს არის ტექნოლოგიების დაუფლება თამაშის, წარმოსახვისა და ფანტაზიის მეშვეობით. ნიგნი თარგმნილი და გამოცემულია 25 ენაზე, მათ შორის, ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, იტალიურად, ესტონურად, იაპონურად. „გამარჯობა რუბი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს მასშტაბით, ნიუ-იორკისა და ევროპის ქვეყნების სკოლებში კი, „გამარჯობა რუბი“ პროგრამირების საფუძვლების სახელმძღვანელოა. ავტორის გადაწყვეტილებით, ფინური ნიგნების სერიის ქართულად გამოქვეყნებაზე ლიცენზია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო. 2019 წლის სექტემბრიდან კი, მსოფლიოში აღიარებული ნიგნით, განათლების სამინისტროს რეფორმის ფარგლებში, შერჩეული 3 საჯარო და ასევე, 2 კერძო სკოლის მე-3 და მე-4 კლასების მოსწავლეები, პროგრამირების საფუძვლებს დაეუფლებიან. „გამარჯობა რუბის“ ფინელი ავტორი, ლინდა ლუკასია, რომელიც „ფორბსის“ მიერ 2018 წელს ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ევროპის საუკეთესო 50 ქალს შორის დასახელდა.
- “Happy Onlife” - ევროკომისიის მხარდაჭერით შექმნილი ონლაინ აპლიკაცია და სამაგიდო თამაში მოზარდებისთვის. აპლიკაციის მიზანია, ბავშვებმა თამაშით ისწავლონ ციფრული მედიის უსაფრთხო და პასუხისმგებლიანი გამოყენება, ონლაინ კონტენტის კრიტიკული შეფასება და ანალიზი. აღნიშნული აპლიკაცია მიჩნეულია მედიაინჟინერებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან პროექტად, ადაპტირებული და ხელმისაწვდომია ევროპის 9 ენაზე. პროექტის ფარგლებში, შეიქმნება აპლიკაციის ქართული ვერსია.
- მედიის ეკონომიკა - საგანმანათლებლო მოკლევადიანი კურსი დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის ციფრული მედიის ეკონომიკის პრინციპების შესასწავლად - პროექტი მედიაინჟინერების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით, ორგანიზაცია „Evens Foundation“-მა საუკეთესო პლატფორმად აღიარა. პროექტი მიზნად ისახავს ინტერაქტიული ტრენინგების ფორმატით ბავშვებმა ისწავლონ, როგორ აირჩიონ და მოიხმარონ მედია საშუალებები და რაც მთავრია, მიიღონ ციფრული მედიის ფინანსური და ეკონომიკური ასპექტების შესახებ ინფორმაცია.
- მედიაინჟინერების კონკურსი უფროსკლასელებისთვის - პროექტის მიზანია, მოზარდებში კრიტიკული აზროვნების, ფაქტების გადამოწმების, ანალიზისა და შეფასების უნარების განვითარება. კონკურსის ფარგლებში, მოზარდებს ექნებათ საშუალება, აღმოაჩინონ და გაანალიზონ გავრცელებული ყალბი ინფორმაცია (fake news), მოახდინონ წყაროს იდენტიფიკაცია და დაადგინონ რეალური ფაქტები.
- მედიაინჟინერების ეროვნული მნიშვნელობის ონლაინ პლატფორმა - რომელიც გააერთიანებს მედიაინჟინერების სხვადასხვა კომპონენტს და რომელიც, სამიზნე ჯგუფების საჭიროებებზე იქნება მორგებული.

<sup>1</sup> მარტინა ჩეპმენი - ბრიტანელი დამოუკიდებელი ექსპერტი და კონსულტანტი მედია ინჟინერებისა და ციფრული ტექნოლოგიების სფეროში, დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში მედიაინჟინერების განვითარებას მან ჩაუყარა საფუძველი. მის მიერ არის შემუშავებული ევროპის მარეგულირებელთა გაერთიანებისთვისა და რეგულატორების ევროპული პლატფორმისთვის სახელმძღვანელო, იმის შესახებ, როგორ უნდა იყოს მედია ინჟინერება და როგორ უნდა მოხდეს მისი ხელშეწყობა და განვითარება. მრავალი წლის განმავლობაში, ის მაუწყებლობის სფეროში საქმიანობდა, 2013 წლიდან კი ჩეპმენი „Mercury Insights“-ის დირექტორი, კონსულტანტი და დამფუძნებელია. ასევე, ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორიის, ირლანდიის მედიის მარეგულირებლის, დიდი ბრიტანეთის მარეგულირებლის და BBC-ის კონსულტანტია. გახლავთ ევროვიზიის აკადემიის - წევრი და მედია ინჟინერების აღმასრულებელი დირექტორი - BBC-ში.

## მედიააკადემია



# მედია აკადემია

ქვეყანაში მედიანიგნიერების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, კომისიამ მედიანიგნიერების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მედიააკადემია“ დააფუძნა, რომლის აღმასრულებელ დირექტორად დავით კაკაბაძე<sup>2</sup> დაინიშნა. სწორედ „მედიააკადემია“

იმუშავებს მედიანიგნიერების იმ სამი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის განვითარებაზე, რომელიც მედიას, ჟურნალისტებს, პროდიუსერებსა და მედია მენეჯერებს ეხებათ:



„მედია სკოლა“ - გამომდინარე იქიდან, რომ ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, მომხმარებლის ქცევა იცვლება და კლასიკური მედია პროდუქტების მოხმარებიდან, მულტიმედიური პროდუქტების მოხმარებაზე გადადის, მედია ამ მიმართულებით დიდი გამომწვევების წინაშე დგას. სწორედ მულტიმედიური კონტენტის წარმოების ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე იმუშავებს „მედია სკოლა“ მოკლევადიანი და გრძელვადიანი კურსებით, როგორც დამწყები, ასევე მოქმედი მედია მენეჯერებისთვის, პროდიუსერებისა და ჟურნალისტებისთვის. 2018 წელი კომისიამ მედიის წარმომადგენლებისთვის ცნობილი მედია მენეჯერის მასტერ კლასით დაიწყო. კომისიის მონვევით, ამერიკელი ექსპერტი, მიჩ სემელი<sup>3</sup> საქართველოს ორი კვირით ესტუმრა და ჟურნალისტების გარდა, ტრენინგი კომისიის თანამშრომლებსაც ჩაუტარა. ასევე, ჩატარდა



# მედია სკოლა

ტრენინგი - „ამბის თხრობა და რეპორტაჟი სოციალურ მედიაში“. ჟურნალისტებმა და რედაქტორებმა გამოცდილ ტრენინგებთან ერთად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მულტიმედიური პროდუქტების შექმნასა და სოციალურ პლატფორმებზე მათი განთავსების ეფექტიან ფორმებზე იმუშავეს. პრაქტიკული სამუშაოები ისეთ კონკრეტულ საკითხებს მოიცავდა, როგორებიცაა თემების გაშუქების სტრატეგია და აუდიტორიის ანალიზი, ასევე, ამბის გადმოცემის ისეთი გზები, რომლებითაც სოციალურ მედიაში აუდიტორიის მაღალი ჩართულობა მიიღწევა.

<sup>2</sup> დავით კაკაბაძე - 13 წლის განმავლობაში „რადიო თავისუფლების“ ქართულ სამსახურს მიუხედავად და პრალაში ხელმძღვანელობდა. კაკაბაძე ასევე, პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ამავე უნივერსიტეტის გოეთეს კაბინეტს ხელმძღვანელობდა.  
<sup>3</sup> მიჩ სემელი - ამერიკელი მედია ექსპერტი, Long Island University-ის პროფესორი, წლების მანძილზე CNN-ს, CBS-ს და Public Broadcasting Service-ს ხელმძღვანელობდა.



# მედია კრიტიკა

„მედია კრიტიკა“ - ეს იქნება პლატფორმა, რომელიც თავად ჟურნალისტებსა და პროდიუსერებს შეუწყობს ხელს პროფესიულ განვითარებაში. შეიქმნება ონლაინ სივრცე, სადაც კვალიფიციური და ჯანსაღი მედია კრიტიკა გამოქვეყნდება, მეორეს მხრივ კი, მედია კრიტიკა იქნება გზამკვლევი მომხმარებლისთვის იმის გასარჩევად, როგორ მედია პროდუქტს მოიხმარენ.



# მედია ლაბი

„მედია ლაბი“ - ლაბორატორია, რომელიც ხელს შეუწყობს ციფრულ მედიაში სტარტაპების მხარდაჭერას და დაფინანსებას. სტარტაპერებს, რომლებიც ციფრული მედიის მიმართულებით, შემუშავებენ საინტერესო პროექტებს, მიეცემათ შესაძლებლობა მედია ლაბში მიიღონ დაფინანსება და განახორციელონ საინტერესო პროექტები.

## მეგა მონაცემები

მედია ლაბორატორიის განვითარებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებს კომისიის „მეგა მონაცემების დამუშავების მასშტაბური პროექტი“, რომელიც პრაქტიკულ საქმიანობას 2019 წელს დაიწყებს. ამ პროექტის განსახორციელებლად კომისიამ მოსამზადებელი სამუშაოები წელიწადზე მეტია დაიწყო. ჩამოყალიბდა მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების მეთოდები. შემუშავდა ICT ინდიკატორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ტელეკომის ბაზრის განვითარების ანალიზისა და შეფასებისთვის. მიმდინარეობს მეორე ეტაპი, რომელიც გულისხმობს სხვა დარგებისთვის ტრენდებისა და ინდიკატორების იდენტიფიცირებას, რომლებიც თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისა და აქტივობების სწორად დასაგეგმად. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, კომისიას ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირმა (ITU) სრული მხარდაჭერა გამოუცხადა და გაეროს სპეციალურ ჯგუფთან ერთად, როგორც ფინანსური, ასევე ექსპერტული მხარდაჭერით, პროექტის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთო.

## ინტერნეტის ხარისხის კონტროლი

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მომხმარებლების ინტერესების დაცვის მიზნით, ინტერნეტის ხარისხის კონტროლის მექანიზმი შეიმუშავა, რომლის საშუალებითაც, ნებისმიერ მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება გაზომოს ფიქსირებული ინტერნეტის სიჩქარე და ხარისხი, შეამოწმოს რამდენად შეესაბამება მიწოდებული ინტერნეტის ხარისხი მასსა და პროვაიდერ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. ინტერნეტის ხარისხის კონტროლის მექანიზმი, როგორც მომხმარებელს, ასევე კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საშუალებას მისცემს 24 საათიან რეჟიმში დააკვირდეს, რამდენად იცავენ კომპანიები აბონენტების წინაშე აღებულ ვალდებულებებს. დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, ხარისხიანი ინტერნეტ მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, კომისია ინტერნეტის მიწოდებელი კომპანიების მიმართ კანონით გათვალისწინებულ ზომებს გაატარებს.

იმისთვის, რომ ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე არსებული მდგომარეობა გაუმჯობესდეს და ინტერნეტის ხარისხი და სიჩქარე მომხმარებლის მიერ გადახდილი ფასის ადეკვატური იყოს, კომუნიკაციების კომისიამ ერთი წლის განმავლობაში აქტიური საშუალები ჩაატარა - მიიღო დადგენილება, რომლითაც ინტერნეტ-მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლები განისაზღვრა და მათი შემოწმების მეთოდოლოგიური წესები დადგინდა. აღნიშნულ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარე იყო ჩართული. ინტერნეტ მომსახურების მიწოდების სათანადო ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიებს ახალი ვალდებულებები დაეკისრა, რომელიც აბონენტებთან დადებული ხელშეკრულებების დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანას ითვალისწინებდა.

შემოწმების საიმედოობისა და სიზუსტის მიზნით, კომისია ამერიკულ კომპანია „Visualware“-თან თანამშრომლობს. ინტერნეტ მომსახურების ხარისხი სწორედ მათი აპარატურით გაიზომება, რომელიც კომისიას საშუალებას მისცემს ერთდროულად გაზომოს ფიქსირებული ინტერნეტის 5 პარამეტრი: ჩამოტვირთვის სიჩქარე, ატვირთვის სიჩქარე, დაკარგული პაკეტები, ჰიტერი და დაყოვნება.



2018 წელს კომისიამ შექმნა მობილური სატელეკომუნიკაციო ქსელების დაფარვის ანალიზის პორტალი, რომელიც 2019 წელს ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი იქნება. პორტალზე აბონენტს შესაძლებლობა ექნება სპეციალურ რუკაზე, საქართველოს მასშტაბით, შეამოწმოს მობილური სატელეკომუნიკაციო ქსელების დაფარვის/სიგნალის დონე. მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება, როგორც კონკრეტული ოპერატორის, ასევე სხვადასხვა ტექნოლოგიის (GSM/UMTS/LTE) ტერიტორიაში, მათ შორის, მომხმარებელი შეამოწმებს მინიმალურ, საშუალო და მაქსიმალურ სიჩქარეს.

# მობილური და ფიქსირებული საბითუმო ბაზრის ლიბერალიზაცია



## მცირე და საშუალო ზომის ოპერატორებს ინტერნეტის საბითუმო მომსახურების ხარჯი 7-8-ჯერ შეუმცირდათ

2018 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტიური მუშაობის შედეგად, მცირე და საშუალო ზომის ოპერატორებს ინტერნეტის საბითუმო მომსახურების ხარჯი 7-8-ჯერ შეუმცირდათ. კომისიამ ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ახალი რეგულაციები მიიღო, რომელიც მცირე და საშუალო ზომის ოპერატორებს ინტერნეტის საბითუმო მომსახურების ხარჯს შეუმცირებს. კომისიის მირ მიღებული გადაწყვეტილება უპრეცედენტოა და ის საბოლოო ჯამში, მომხმარებლებისთვის უკეთესი ხარისხის ინტერნეტს უფრო ხელმისაწვდომს გახდის. ფიქსირებული საცალო ინტერნეტის მომსახურებაზე კონკურენციის ხელშეწყობისთვის, კომისიის მიერ 2018 წლის 6 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, მცირე და საშუალო ზომის ოპერატორები მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე კომპანიების ოპტიკურ ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურით სარგებლობას შემცირებული ტარიფით შეძლებენ. ასევე, ოპერატორებს ეძლევათ შესაძლებლობა შევიდნენ ისეთ რეგიონებში, სადაც დღეს მხოლოდ ერთი დიდი კომპანია ოპერირებს. ყოველივე ეს მოსახლეობას მისცემს შესაძლებლობას არჩევანი რამდენიმე მომწოდებელს შორის, მისთვის უკეთესი პირობების გათვალისწინებით გააკეთოს.

ამასთან, დიდი ოპერატორების ინფრასტრუქტურაზე დაშვება უზრუნველყოფილი იქნება დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებით. ეს ვალდებულებაც სწორედ ბაზარზე მონოპოლიების არარსებობასა და კონკურენციის ზრდას შეუწყობს ხელს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ხარჯზე ორიენტირებული ტარიფები დაადგინა, რომელზეც სლოვაკურ კომპანია „Pricewaterhouse Coopers Advisory“-თან ერთად იმუშავა. კომისიის მიერ დადგენილი ტარიფი საბითუმო ბაზარზე ყველა ოპერატორისთვის ერთნაირი იქნება, რაც ბაზარზე კონკურენციის გაზრდის წინაპირობაა. აღნიშნული რეგულაცია ძალაში 2019 წლის 15 იანვრიდან შევა.

## დამტკიცდა სატელეკომუნიკაციო ქსელებით მომსახურებებისთვის კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი

საბითუმო ბაზრის ლიბერალიზაციისთვის თავისუფალი დაშვების პარალელურად, დამტკიცდა სატელეკომუნიკაციო ქსელებით მომსახურებებისთვის კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი. 2018 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით, კომისიამ სატელეკომუნიკაციო ქსელებით მომსახურებებისთვის კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულების („WACC“-ის) ერთიანი განაკვეთი დაადგინა.

საკონსულტაციო კომპანია “Pricewaterhouse Coopers Advisory“-ის მიერ კომისიაში წარმოდგენილი მობილური და ფიქსირებული ქსელებისთვის კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულების გაანგარიშების პრინციპები, ევროპის სატელეკომუნიკაციო სექტორის მარეგულირებელი ორგანოების მიერ დადგენილ საუკეთესო პრაქტიკასთან სრულ შესაბამისობაშია. მობილური, ფიქსირებული და შემდეგი თაობის დაშვების („NGA“) ქსელისთვის კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულება („WACC“) 14.95 პროცენტის ოდენობით განისაზღვრა.

## განახევრდა ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურების ტარიფები

ბაზრის ლიბერალიზაციისთვის განახევრდა ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურების ტარიფები. ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურების მიმწოდებელ ავტორიზებულ პირებთან კომისიის მუშაობის შედეგად, ინტერნეტის საბითუმო მომსახურების ტარიფები განახევრდა. ცხრილში წარმოდგენილია ამ მომსახურების ყველაზე დიდი პროვაიდერების „კავკასუს ონლაინისა“ და „სილქნეტის“ შეთავაზებები.

სიმძლავრე მბ/წმ-ში	01.06.2017-მდე (ლარი <sup>4</sup> )	01.06.2017-დან (ლარი)	30.12.2017-დან (ლარი)	01.08.2018-დან კავკასუს ონლაინი (ლარი)	01.08.2018-დან სილქნეტი (ლარი)
1-50	32	28	19	17	18
51-100	32	27	18	16	17
101-200	31	26	17	15	16
201-500	30	25	16	14	15
501-2 000	29	23	15	13	14
2 001-10 000	29	22	14.5	12.5	-

## მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფები დაახლოებით 4-ჯერ შემცირა

მობილური და ფიქსირებული საბითუმო ბაზრის ლიბერალიზაციის მიზნით, კომისიამ 2017 წლის 7 სექტემბერის N684/19 გადაწყვეტილებით, მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფები დაახლოებით 4-ჯერ შემცირა. მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ბარის დასრულების ტარიფის გაანგარიშება ევროკომისიის 2009 წლის 7 მარტის #2009/396/EC რეკომენდაციის მიხედვით განხორციელდა. LRIC<sup>5</sup> მოდელით გაანგარიშებული ურთიერთჩართვის ტარიფები ძალაში ეტაპობრივად შევიდა.

მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის არსებული ტარიფი 3.5 თეთრი (გადასახადების ჩათვლით) შემდეგი ბრაფიკით შემცირდა:

ურთიერთჩართვის მომსახურება	2018 წლის 1 ივლისიდან	2019 წლის 1 იანვრიდან
ბარის წამოწყება, თეთრი (გადასახადების გარეშე)	2.16	1.44
ბარის დასრულება, თეთრი (გადასახადების გარეშე)	1.81	0.75

<sup>4</sup> ლარი, დღგ-ს გარეშე

<sup>5</sup> LRIC - მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი დანახარჯების მოდელი

ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის არსებული ტარიფი 2 თეთრი (გადასახადების ჩათვლით) შემდეგი ბრაფიკის მიხედვით შემცირდა:

ურთიერთჩართვის მომსახურება	2018 წლის 1 ივლისიდან	2019 წლის 1 იანვრიდან
ბარის წამოწყება ადგილობრივ დონეზე, თეთრი (გადასახადების გარეშე)	1.04	0.38
ბარის წამოწყება ტრანზიტულ დონეზე, თეთრი (გადასახადების გარეშე)	1.05	0.41
ბარის დასრულება ადგილობრივ დონეზე, თეთრი (გადასახადების გარეშე)	0.99	0.28
ბარის დასრულება ტრანზიტულ დონეზე, თეთრი (გადასახადების გარეშე)	1.01	0.32

## სატარიფო პოლიტიკა

მობილურ და ფიქსირებულ ქსელზე საბითუმო ბაზრის ლიბერალიზაციისა და ტარიფების გათვალისწინებით, 2018 წელს მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორების მხრიდან, სხვადასხვა სატარიფო მომსახურებაზე ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და ფასების გაზრდის მცდელობას ჰქონდა ადგილი. თუმცა, კომისიის მყისიერი ჩარევის შედეგად, მათ მიერ დაანონსებული ცვლილებები არ განხორციელებულა. 2018 წლის დასაწყისში, კომპანია „მაგთიკომმა“ მობილური ინტერნეტის ტარიფის გაზრდა დააანონსა, თუმცა კომისიამ კომპანიის მხრიდან სუბსიდირების განზრახვლობის მიზნით, კვლევა დაიწყო და „მაგთიკომს“ ტარიფის ცვლილების პროცესი შეაჩერებინა.

სწორი სატარიფო პოლიტიკის და მომხმარებლების ინტერესების დაცვის მიზნით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მობილური კავშირის კონსოლიდირებული ტენდერში კომპანიების მიერ განეული მომსახურებების შესწავლა დაიწყო. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ „მაგთიკომი“ და „ჯეოსელი“ კონსოლიდირებული ტენდერის მომსახურების ფარგლებში სუბსიდირებას ეწეოდნენ. ორივე კომპანიის მხრიდან ადგილი ჰქონდა „ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას.

საკითხის შესწავლის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიამ „მაგთიკომისგან“ და „ჯეოსელისგან“ გამოითხოვა კონსოლიდირებული ტენდერით განეული ხარჯებისა და მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაცია. კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მობილური კომპანიების მიერ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, განეული ხარჯები ბევრად აღემატებოდა ამ მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს. დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის სპეციფიკური ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კომისიის გადაწყვეტილებით, „მაგთიკომს“ და „ჯეოსელს“ წერილობითი გაფრთხილება მიეცათ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 21 მაისის N240/9 და 2011 წლის 25 იანვრის N26/9 გადაწყვეტილებებით, „ჯეოსელს“ და „მაგთიკომს“ დაკისრებული აქვთ ვალდებულება, რომ არ დაუშვან კონკურენციის შემზღუდავი ქმედებები და სატარიფო შეღავათების სუბსიდირება სხვა მომხმარებელთა ხარჯზე.

ამას გარდა, კომისიამ დარღვევები აღმოაჩინა შპს „ვიონი საქართველოს“ მიერ შეთავაზებულ ე.წ. „FREEVOLUTION“-ის პაკეტის ფარგლებშიც, რომლის დანახარჯებიც ამავე პაკეტების შემოსავლებს დაახლოებით ოთხჯერ აღემატებოდა. კომისიამ კომპანიას მობილურ ხმოვან მომსახურებაზე დანესებული ტარიფის საქართველოს კანონმდებლობისა და კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანა დაავალდებულა.

## ფიქსირებული და მობილური ქსელების კონსოლიდირება

ფიქსირებული და მობილური ქსელების კონსოლიდირებისა და კონვერგენციის ტენდენცია, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც შეიმჩნევა. ბოლო წლების განმავლობაში, მობილური ქსელის ოპერატორები ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურებით, ხოლო ფიქსირებული ინტერნეტის მიმწოდებელი კომპანიები, მობილური მომსახურებით დაინტერესდნენ.

2018 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „სილქნეტს“ „ჯეოსელის“ 100%-იანი წილის შეძენის თაობაზე თანხმობა მისცა და მომხმარებლების, აბონენტებისა და კონკურენტი ავტორიზებული პირების ინტერესების დაცვიდან გამომდინარე, კომპანიებს მთელი რიგი ვალდებულებები დააკისრა.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, კომისიამ მხარეებს დაავალა, რომ ნებისმიერ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც აბონენტების პირობებს შეცვლის, მომხმარებლებს ერთი თვით ადრე ინდივიდუალურად უნდა აცნობონ. ცვლილებების შესახებ კომპანიებმა ასევე ერთი თვით ადრე უნდა შეატყობინონ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რათა უწყებას საკითხის შესწავლისა და რეაგირებისთვის გონივრული ვადა ჰქონდეს.

ასევე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის გათვალისწინებით, კომისიამ კომპანიებს დააკისრა ვალდებულება, რომ აბონენტებს არ შეუზღუდონ არჩევანის თავისუფლება და მათ დაუტოვონ შესაძლებლობა სხვა სერვისებისგან დამოუკიდებლად მიიღონ მათთვის სასურველი მობილური, ან ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება გონივრულ, არადისკრიმინაციულ და ხელმისაწვდომ ფასად.

რაც შეეხება საბითუმო მომსახურების ბაზარს, კომისიის მიერ დაწესებული სპეციფიკური ვალდებულებების გათვალისწინებით, მხარეები აღნიშნულ ბაზარზე ვერ შეზღუდავენ კონკურენტი ავტორიზებულ პირებს, კერძოდ, ვერ შეძლებენ საბითუმო მომსახურების ბაზარზე ფასებისა და პირობების გაუარესებას. რაც შეეხება საცალო მომსახურების ბაზარს „სილქნეტის“ მიერ „ჯეოსელის“ წილის შეძენის ტრანზაქცია ამ ბაზარზე არსებულ კონკურენციასთან თავსებადია.


2017 წელს კი „სილქნეტმა“ მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული კომპანია „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ საოპერაციო აქტივები შეიძინა.

2016 წელს „მაგთიკომმა“ ფართოზოლოვანი ინტერნეტ პროვაიდერის „კავკასუს ონლაინის“ საცალო აქტივები, ხოლო 2017 წელს ინტერნეტ პროვაიდერი „დელტა-კომის“ აქტივები შეიძინა და საკუთარი ბრენდის ქვეშ გააერთიანა.


## ელექტრონული კომუნიკაციების დარგის განვითარების ტენდენციები

2018 წელს ელექტრონული კომუნიკაციების დარგში 358 მოქმედი<sup>6</sup> პირი დაფიქსირდა. დარგში 100 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი<sup>7</sup> მხოლოდ 4-მა პირმა მიიღო (A კატეგორიის<sup>8</sup> კომპანიები) და მათ მიერ მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა მთელი შემოსავლის 88.4% შეადგინა. ხოლო, იმ პირების ჯამური შემოსავალი, ვინც 2018 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღო (E კატეგორიის 242 პირი) მთელი შემოსავლების 0.6% იყო.

ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედ პირთა რაოდენობა სეგმენტების მიხედვით




ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედ პირთა შემოსავლის განაწილება სეგმენტების მიხედვით



2018 წელს ელექტრონულ კომუნიკაციებში ავტორიზებული პირების მიერ მიღებული შემოსავალი 1.237 მლნ ლარია, საიდანაც საცალო შემოსავალმა 846 მლნ ლარი შეადგინა.

ელექტრონული კომუნიკაციებში ავტორიზირებული პირების მიერ მიღებული შემოსავალი (მლნ ლარი)



<sup>6</sup> მოქმედად განიხილება პირი, რომელსაც წლის განმავლობაში ელექტრონული კომუნიკაციებიდან რაიმე სახის შემოსავალი ჰქონდა  
<sup>7</sup> ანგარიშში შემოსავლები მოცემულია დღგ-ს და აქციზის გარეშე  
<sup>8</sup> ტრადიციულად განიხილება შემდეგი კატეგორიები:


კატეგორია	წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი
A	100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი
B	10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე
C	1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე
D	100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე
E	100,000 ლარზე ნაკლები

## მობილური კომუნიკაციები

საქართველოში მობილური მომსახურების ბაზარზე პენეტრაცია მაღალია და 143%-ს შეადგენს. კერძოდ, ერთ მომხმარებელს ერთზე მეტი მობილური ნომერი აქვს. რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელმა მუსტად იცის ბაზარზე არსებული ტარიფები და საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა მომსახურებაზე მათთვის ხელმისაწვდომ ქსელს იყენებს.


მობილური აბონენტების<sup>9</sup> რაოდენობამ 2018 წლის ბოლოს (IV კვარტალში) 5.3 მლნ აბონენტი შეადგინა<sup>10</sup>.

### მობილური აბონენტების რაოდენობა (მლნ) და სააბონენტო სიმკვრივე




2018 წლის ბოლო კვარტალში კორპორატიული აბონენტების რაოდენობამ მთლიანი აბონენტების 25% შეადგინა, რაც ჯამურად 1.333 მლნ აბონენტია.

### აბონენტების რაოდენობა (მლნ)




### აბონენტების განაწილება



<sup>9</sup> აბონენტად განიხილება SIM ბარათი, რომლის გამოყენებითაც კვარტლის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა ან განუვლია რაიმე სახის მობილური მომსახურება, ან დაირიცხა სააბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების ჩათვლით და სატესტო ბარათების ჩათვლითაც)  
<sup>10</sup> 2018 წელს მობილურმა ოპერატორებმა სააბონენტო ბაზა დააკორექტირეს და 2017 წელს შეცდომით წარმოდგენილი მონაცემები დააბუსტეს


მობილური ოპერატორების საბაზრო წილი აბონენტების რაოდენობის მიხედვით, 2018 წლის ბოლოსთვის ასე განაწილდა: „მაგთიკომის“ საბაზრო წილი გაიზარდა და 40.3% შეადგინა, „სილქნეტი|ჯეოსელი“<sup>11</sup> - 35.8%, „ვიონი საქართველო“ - 23.9%.

**ბაზრის წილი აბონენტების რაოდენობის მიხედვით**




2018 წელს, მობილური ოპერატორების საცალო შემოსავალმა 481 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2017 წელს მიღებულ საცალო შემოსავალზე 7.3%-ით (32.7 მლნ ლარით) მეტია. საცალო შემოსავლების თვალსაზრისით, „მაგთიკომის“ საბაზრო წილი 46.9%, „სილქნეტი|ჯეოსელის“ - 36.7%, ხოლო „ვიონი საქართველოს“ წილმა 16.4% შეადგინა.

**საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)**



**ბაზრის წილი საცალო შემოსავლის მიხედვით**




<sup>11</sup> 2018 წლის ბოლოს განხორციელდა „სილქნეტისა“ და „ჯეოსელის“ შერწყმა

## მობილური შემოსავლები მშპ-სთან მიმართებაში:


საქართველოში მობილური შემოსავლების ზრდის<sup>12</sup> განაკვეთი 2017 და 2018 წლებში მშპ ზრდის განაკვეთს აღემატება, რაც არ არის გლობალურ<sup>13</sup> ტენდენციასთან თანხვედრაში, სადაც 2016 წლიდან მობილური შემოსავალი, გლობალური მშპ ზრდის<sup>14</sup> ფონზე, შემცირებისკენ მიდის, ხოლო საქართველოში - პირიქით. აღნიშნული ზრდა ნაწილობრივ განპირობებულია მობილურ მომსახურებაზე აქციზის გადასახადის

გაუქმებით. 2011 წელს შემოსავლების მკვეთრი კლება, ბაზარზე „ვიონის საქართველოს“ პოზიციების გამყარებით, კონკურენციის გამძაფრებასთანაა დაკავშირებული. 2015 წელს შემოსავლების კლება კი გამოწვეულია ურთიერთჩართვის ტარიფის 5 თეთრიდან 3.5 თეთრამდე შემცირებით. შედეგად, ოპერატორების მიერ მოხდა მობილურ ხმოვან მომსახურებაზე ტარიფების შემცირებაც.

### მობილური შემოსავლების ზრდა, მშპ ზრდასთან მიმართებაში



### გლობალური მობილური შემოსავლების ზრდა, გლობალურ მშპ ზრდასთან მიმართებაში




12 მონაცემთა წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

13 <http://bit.ly/2vT07DK> (www.gsmaintelligence.com)


14 <http://bit.ly/2xlpiG> (data.worldbank.org)

## მობილური შემოსავლის ზრდა გლობალურად და საქართველოში




## შემოსავალი აბონენტების ტიპის მიხედვით (მლნ)

2018 წელს მობილური შემოსავლების 74% (356 მლნ) ფიზიკური პირების სეგმენტმა, ხოლო 26% (125 მლნ) იურიდიული პირების სეგმენტმა დააგენერირა. 2015 წლიდან იურიდიული პირებისგან მიღებული შემოსავლების ზრდის სტაბილური ტენდენცია იკვეთება.




## შემოსავლების განაწილება აბონენტების ტიპის მიხედვით




2018 წლის მონაცემების მიხედვით, თვის განმავლობაში, ერთი აბონენტისგან მიღებულმა საშუალო შემოსავალმა ARPU<sup>15</sup> – Average Revenue per User (დღგ-ს და აქციზის გარეშე) საშუალოდ 8.2 ლარი შეადგინა. 2017 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 80 თეთრით გაიზარდა.

### წლების საშუალო ARPU



	2013	2014	2015	2016	2017	2018
ARPU	8.8	8.2	7.0	7.1	7.4	8.2


### 2018 წლის ARPU



საშუალო ARPU	იან, 2018	თებ, 2018	მარ, 2018	აპრ, 2018	მაისი, 2018	ივნ, 2018	ივლ, 2018	აგვ, 2018	სექტ, 2018	ოქტ, 2018	ნოემ, 2018	დეკ, 2018
საშუალო ARPU	7.7	7.0	8.0	7.7	8.2	8.2	8.7	9.1	8.5	8.5	8.1	8.3


ოპერატორების ჭრილში 2018 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ARPU-ს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „მაგთიკომს“ აქვს, შემდეგ „სილქნეტიკოსელს“, ხოლო ყველაზე მცირე თანხას მობილურ კავშირზე „ვიონი საქართველოს“ აბონენტები ხარჯავენ.

### ARPU კომპანიების მიხედვით



### ARPU აბონენტების ტიპის მიხედვით


2018 წელს იურიდიული პირი აბონენტების ARPU-ს მაჩვენებელი გაზრდილია და ბოლო წლების განმავლობაში, 2013 წლის შემდეგ, პირველად აღემატება ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-ს მაჩვენებელს, რაც ფასწარმოქმნის რეგულირების გამკაცრებასთან და ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული ხარვეზების გამოსწორების შედეგია.



	2013	2014	2015	2016	2017	2018
იურიდიული პირი	8.4	6.2	5.6	5.4	6.3	8.3
ფიზიკური პირი	7.6	7.0	6.2	6.6	7.2	7.4


15 ანგარიშში ARPU (Average Revenue per User) მოცემულია დღგ-ს და აქციზის გარეშე

## 2018 წლის ARPU აბონენტის ტიპის მიხედვით




2018 წელს ჯამურმა გამავალმა ხმოვანმა ტრაფიკმა 9.9 მლრდ წუთი შეადგინა. 2017 წელთან შედარებით, ტრაფიკი 2.7%-ით გაიზარდა. შესაბამისად, გაიზარდა MOU<sup>16</sup>. თუ 2017 წლის IV კვარტალში ის 149 წუთს შეადგენდა, 2018 წლის IV კვარტალში მაჩვენებელი 153 წუთზე ავიდა.

### ხმოვანი ტრაფიკი (მლრდ წუთი)




### MOU



მობილური ოპერატორების ჭრილში, MOU-ს მონაცემები 2018 წლის IV კვარტალში განსხვავებულია: საშუალოდ ყველაზე მეტს „ვიონი საქართველოს“ აბონენტები საუბრობენ, რაც გამოწვეულია კომპანიის მიერ შემოთავაზებული შედარებით დაბალი ტარიფებით, შემდეგ „მაგთიკომის“ მომხმარებლები, ხოლო ყველაზე ცოტას - „სილქნეტიკოსელის“ აბონენტები. 2018 წელს წინა პერიოდებისგან განსხვავებით, სამივე კომპანიის აბონენტების მიერ ნასაუბრები წუთების რაოდენობა თითქმის იდენტურია.

### კომპანიების MOU



<sup>16</sup> MOU - Minutes of Use - თვეში საშუალოდ აბონენტის მიერ ნასაუბრები (იგულისხმება მხოლოდ გამავალი ზარები) წუთების რაოდენობა

## მობილური ინტერნეტი


სწრაფი ტემპით იზრდება მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა, რაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით არის განპირობებული:

- საქართველოს მოსახლეობის უნარ-ჩვევები თანამედროვე ტექნოლოგიების მოხმარებაში გაუმჯობესებულია და ახალგაზრდა თაობა აქტიურად იყენებს მობილურ ინტერნეტს;
- გაზრდილია სმარტ ტელეფონების, როგორც რაოდენობა ასევე მისი წილი ქვეყანაში არსებულ ყველა სახის მობილურ ტელეფონებს შორის;
- გაზრდილია მოთხოვნილება ონლაინ რეჟიმში ინფორმაციის წვდომაზე;
- დინამიკაში მუდმივად იცვლება მობილური მომხმარებლის ქცევა სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მოხმარების კუთხით;
- სულ უფრო მეტი მომსახურება გადადის ონლაინ/ციფრულ სივრცეში, რაც თავისთავად ხელს უწყობს მოხმარების ზრდას.


მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა ყოველ წელს მნიშვნელოვნად იზრდება - 2013 წლიდან 2018 წლის ბოლომდე საშუალოდ მობილური ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობის წლიურმა ზრდამ 6% შეადგინა. 2018 წლის ბოლო კვარტალში, ინტერნეტ მომსახურებით მობილური ქსელის აბონენტების 55.2%-მა (2.95 მლნ) ისარგებლა.

მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა სიმკვრივის მაჩვენებელი საქართველოს მოსახლეობასთან მიმართებაში კიდევ უფრო მაღალია და 2018 წლის ბოლოსთვის 79% შეადგინა.

### მობილური ინტერნეტ მომხმარებლები (მლნ) და სიმკვრივე ჰამურ მობილურ მომხმარებლებში



### მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა სიმკვრივე საქართველოს მოსახლეობაში



2018 წლის ბოლოსთვის ყველაზე მეტი მობილური ინტერნეტ მომხმარებელი „სილქნეტიჯოსელს“ 1.136 მლნ ჰყავდა, მას მოსდევს „მაგთიკომი“ 976 ათასი მომხმარებლით და „ვიონი საქართველო“ - 836 ათასით.


მობილური ინტერნეტ აბონენტები კომპანიების მიხედვით (ათასი)



	2013	2014	2015	2016	2017	2018
მაგთიკომი	524	643	799	931	985	976
სილქნეტიჯოსელი	686	830	907	1,044	934	1,136
ვიონი საქართველო	381	408	438	498	685	836


თუმცა აბონენტთა საერთო რაოდენობაში მობილური ინტერნეტ მომხმარებლების წილის მაჩვენებლები განსხვავებულია: პირველ ადგილზე არის „ვიონი საქართველო“, მობილურ ინტერნეტს კომპანიის აბონენტების 66% მოიხმარს. ასეთი მაღალი მაჩვენებელი მობილურ ინტერნეტზე შეთავაზებული ტარიფებით და მომხმარებელთა სეგმენტიტაა განპირობებული. ამავე მონაცემებით, მეორე ადგილს იკავებს „სილქნეტი“ 59%-ით და „მაგთიკომი“ - 45%-ით.

მობილური ინტერნეტ აბონენტები კომპანიების მიხედვით (ათასი)



	2013	2014	2015	2016	2017	2018
მაგთიკომი	25%	32%	38%	43%	46%	45%
სილქნეტიჯოსელი	40%	43%	44%	53%	51%	59%
ვიონი საქართველო	34%	28%	31%	36%	45%	66%


მობილური ინტერნეტ ტრაფიკი (ათასი ტერაბაიტი)



ბოლო წლების განმავლობაში მობილური ინტერნეტ ტრაფიკი რეკორდულად მზარდია. 2018 წელს მობილური მომსახურების აბონენტებმა 63 ათას ტერაბაიტზე მეტი მობილური ინტერნეტი მოიხმარეს. ეს მოცულობა განპირობებულია, როგორც მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდით, ასევე, ბაზარზე ახალი თაობის ტელეფონების რაოდენობისა და 4G მომსახურების განვითარებით.


2015 წელს 4G ტექნოლოგიის დანერგვასთან ერთად, იკლებს 2G და 3G ტექნოლოგიებით მოხმარებული ინტერნეტ ტრაფიკის რაოდენობა. 2018 წელს მობილური ინტერნეტ ტრაფიკის 65% (41 ათასი ტერაბაიტი) უკვე 4G ტექნოლოგიაზე მოდის.

**ინტერნეტ ტრაფიკი (ათასი ტერაბაიტი)**




2018 წელს, ისევე როგორც გასულ პერიოდში, ტრაფიკის ზრდა კვლავ უმთავრესად 4G-ს გამოყენებითაა განპირობებული. აღსანიშნავია, რომ მობილური ბაზრის გაჯერებასთან ერთად, 2018 წელს მობილური ინტერნეტის ტრაფიკის ზრდის ტემპი იკლებს. 2018 წელს ტექნოლოგიების და ოპერატორების მიხედვით ინტერნეტ ტრაფიკების განაწილება ასეთი იყო:

**ინტერნეტ ტრაფიკი ტექნოლოგიებისა და კომპანიების მიხედვით (ტერაბაიტი)**




4G ტექნოლოგიით მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი „ვიონი საქართველოს“ აქვს - 3გბ. მეორე პოზიციას იკავებს „მაგთიკომი“ - 2.9 გბ, ხოლო „სილქნეტიჯეოსელი“ - 1.2 გბ.

**4G ინტერნეტის საშუალო მოხმარება თვეში (გბ)**



მიუხედავად მობილური ინტერნეტის მომხმარებლების ყოველწლიური ზრდისა, არის აბონენტების დიდი რაოდენობა, რომელიც მობილურ ინტერნეტს გარკვეული მიზეზების გამო, ვერ/არ იყენებს.



არ აქვს შესაბამისი უნარ-ჩვევები



არ აქვს ინტერნეტის მხარდაჭერის მქონე ტელეფონი;

იმ გეოგრაფიულ ზონაში, სადაც იგი იმყოფება, არ არის შესაბამისი დაფარვა.


არ აქვს მობილური ინტერნეტის მოხმარების ფინანსური შესაძლებლობა

# სახელმწიფო კონსოლიდირებული ტენდერის 2018 წლის მონაცემები


2018 წლის ბოლოსთვის, სახელმწიფო კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აქტიური აბონენტების რაოდენობამ 280 000 შეადგინა, რაც ჯამური კორპორატიული აბონენტების 22%-ია. 2018 წლის დასაწყისში, კომისიამ დაადგინა, რომ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, მობილურ მომსახურებაზე ფასწარმოქმნა ხარვეზით არის შემუშავებული და ეწინააღმდეგება კანონს. ტენდერის ფარგლებში აბონენტების ჩართვის წესებისა და ფასწარმოქმნის პოლიტიკის გამკაცრების შედეგად, ტარიფები შეიცვალა, რაც ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტების რაოდენობაზე და მათ სამომხმარებლო ქცევაზე აისახა.



2018 წელს კორპორატიული აბონენტებისგან მიღებული ჯამური შემოსავლიდან (125 მლნ ლარი) 36 მლნ ლარი კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტებისგან იყო მიღებული.




### 2018 წლის საშუალო ARPU




კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტების ყოველთვიური ARPU (10.7 ლარი) საშუალოდ 2 ლარით აღემატება სხვა კორპორატიული აბონენტების ARPU-ს. ასევე, 2 ლარის სხვაობაა ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-ს მაჩვენებელთან მიმართებით.

2018 წლის ბოლოსთვის კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართულ აბონენტებში მობილური ინტერნეტ მომხმარებლების სიმკვრივე 62%-ს, ხოლო სხვა კორპორატიული აბონენტებისთვის 59%-ს შეადგენდა. ფიზიკურ პირ აბონენტებში კი მობილური ინტერნეტის მომხმარებლების სიმკვრივე კი 45%-ა.

### მობილური ინტერნეტის მომხმარებლების სიმკვრივე, 2018 წელი




### მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება თვეში (გბ) 2018 წელი



კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტები, სხვა კორპორატიულ აბონენტებთან შედარებით, თითქმის ორჯერ, ხოლო ფიზიკურ პირ აბონენტებთან შედარებით დაახლოებით სამჯერ მეტ მობილურ ინტერნეტს მოიხმარენ.

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტები ასევე ყველაზე მეტს საუბრობენ. 2018 წელს ისინი მობილურზე საუბარს თვეში საშუალოდ 317 წუთს უთმობდნენ, სხვა კორპორატიული აბონენტები - 192 წუთს, ხოლო ფიზიკური პირი აბონენტები - 154 წუთს.

### 2018 წლის საშუალო MOU (წუთი)




კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტების ქცევა მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ტიპის აბონენტების ქცევისგან. ისინი უფრო მეტად მოიხმარებენ მობილურ მომსახურებებს - ხმოვანს და ინტერნეტს. ასევე, თვეში საშუალოდ მობილურ მომსახურებებზე მათ მიერ განეული ხარჯი სხვა აბონენტების დანახარჯებთან შედარებით უფრო მაღალია.

## როუმინგი


როუმინგის მომსახურების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სეზონზე. ყველაზე მეტი მომხმარებელი III კვარტალში ფიქსირდება. 2017 წელთან შედარებით, 2018 წლის III კვარტალში, საქართველოდან გასული როუმერების რაოდენობაში 21%-იანი კლებაა. ეს სავარაუდოდ როუმინგული მომსახურების მაღალი ფასებით და ალტერნატიული მომსახურებით/საშუალებებით არის გამოწვეული. ხარჯის მინიმიზაციის მიზნით, მომხმარებლები იყენებენ OTT სერვისებს, როგორცაა Viber, WhatsApp, Facebook messenger. OTT აპლიკაციების გამოყენება შესაძლებელია უფასოდ WiFi ქსელთან დაკავშირებისას, რაც დღეს-დღეობით ფართოდ ხელმისაწვდომია აეროპორტებში, სადგურებში, ტრანსპორტში, სასტუმროებსა და ა.შ. შესაბამისად, მოგზაურობისას Wi-Fi ქსელის დაფარვის არსებობის შემთხვევაში, საერთოდ არ ხმარობენ როუმინგულ მომსახურებას.

ბასული როუმერები (ათასი)




2018 წელს III კვარტალში, ყველაზე დატვირთულ სეზონზე, მობილური აბონენტების 3%-მა გამოიყენა როუმინგ მომსახურება. სულ როუმინგული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2018 წელს 30.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი მობილური საცალო შემოსავლის 6.4%-ა.

შემოსავალი როუმინგიდან (მლნ)




ყველაზე მეტი თანხა, 2018 წელს 1.9 მლნ ლარი, როუმინგულ მომსახურებაზე საქართველოდან გასულმა როუმერებმა თურქეთში დახარჯეს, რასაც ხელს უწყობს თურქეთის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის გამოყენება საბოლოო დანიშნულების ადგილამდე. თურქეთის გარდა ყველაზე მეტი როუმერი შემდეგ ქვეყნებში დაფიქსირდა: იტალია, გერმანია, რუსეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, საფრანგეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, სომხეთი, ესპანეთი.

### 2018 წელს 10 ქვეყანა საქართველოს როუმერებისთვის (ათასი ლარი)



საქართველოში ყოფნის დროს, მობილურ მომსახურებაზე ყველაზე დიდ თანხას ხარჯავენ რუსეთიდან ჩამოსული როუმერები - 2018 წელს 2.8 მლნ ლარი დაიხარჯა. შემდეგ ადგილებს თურქეთი, იაპონია, ჩინეთი, ისრაელი, უკრაინა, შვედეთი, სომხეთი, დანია და აზერბაიჯანი იკავებენ.


### 2018 წლის 10 ქვეყნის ჩამოსული როუმერები (ათასი ლარი)




## მობილური ნომრების პორტირება

2018 წელს მობილური ოპერატორების ქსელში 49 ათასი ნომრის პორტირება განხორციელდა, რაც 2017 წელთან შედარებით, 8 ათასი პორტირებული ნომრით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ მაგალითად ირლანდიაში, სადაც დაახლოებით იგივე აბონენტების რაოდენობაა, რაც საქართველოში, წლის განმავლობაში 300 ათასზე მეტი<sup>17</sup> აბონენტი სარგებლობს ნომრის პორტირების მომსახურებით.


პორტირებული ნომრების რაოდენობა (ათასი)




გადმოკორტირებული ნომრების რაოდენობა (ათასი)




პორტირებით მიღებული და გადასული ნომრების რაოდენობა: მამთიკომი (ათასი)



პორტირებით მიღებული და გადასული ნომრების რაოდენობა: სილქნეტიქუოსელი (ათასი)



პორტირებით მიღებული და გადასული ნომრების რაოდენობა: ვიონი საქართველო (ათასი)



<sup>17</sup> წყარო: ირლანდიის მარეგულირებელი ორგანოს 2017 წლის წლიური ანგარიში


## მობილური აპარატების განაწილება მწარმოებლების მიხედვით

მწარმოებელი	რაოდენობა	%
Samsung	1,736,455	33.77%
other	1,076,353	20.93%
Microsoft/Nokia	729,379	14.19%
Apple	665,475	12.94%
HUAWEI	502,646	9.78%
Lenovo	172,102	3.35%
LG	67,906	1.32%
Sony/Ericsson	67,201	1.31%
TCT	57,104	1.11%
HTC	43,356	0.84%
ZTE	23,500	0.46%

GSM ასოციაციის მონაცემების მიხედვით, სატელეკომუნიკაციო სექტორის EBITDA მაჩვენებლის ტრენდი განვითარებული ქვეყნებისთვის მზარდია, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისთვის შემცირებისკენ მიდის.

ამ ფონზე, საქართველოში ოპერატორებს EBITDA მაჩვენებელი მზარდი ტენდენციით ხასიათდება და 2016 წლის ბოლოსთვის საშუალო EBITDA 33%-ს შეადგენს.

### EBITDA მაჩვენებელი



# მობილური კომუნიკაციების 2018 წლის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები:


მობილური მომხმარებლების სიმკვრივე საქართველოს მოსახლეობასთან მიმართებაში 143%-ს შეადგენს



აბონენტები მობილურზე თვეში საშუალოდ 153 წუთს საუბრობენ




4G მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება თვეში 2.3 გბ-ს შეადგენს



მობილურ მომსახურებაზე აბონენტები თვეში საშუალოდ 8 ლარს ხარჯავენ




იურიდიული კირები



ფიზიკური კირები

საკომუნიკაციო სფეროში 10,838 ადამიანი დასაქმებული




## ფიქსირებული ფართობოლოვანი<sup>18</sup> ინტერნეტ მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურება გასული წლების მსგავსად, სტაბილურად მზარდი ტენდენციით ხასიათდება, როგორც აბონენტების რაოდენობის მხრივ, ასევე, შემოსავლების კუთხით. ვითარდება ოპტიკური ტექნოლოგია და მზარდია მისი სიმკვრივე აბონენტების მთლიან რაოდენობაში. 2018 წელს, წინა წლებთან შედარებით, უფრო მეტად მზარდი მაჩვენებლები ჰქონდა რეგიონებს, ვიდრე დედაქალაქს. თბილისში ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარი თითქმის გაჯერებულია, რეგიონალურ ქალაქებსა და სოფლებში კი, განსაკუთრებით, სადაც ოპტიკური ტექნოლოგია გახდა ხელმისაწვდომი, ფიქსირებული ფართობოლოვანი მომსახურების აბონენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება.


2018 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 858 ათასი აბონენტი შეადგინა. 2017 წლის ბოლოსთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 10.6%-ით (82 ათასი აბონენტით) გაიზარდა - ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა 11%-ით, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა - 4%-ით.

ამასთან, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წლიური ზრდის ტემპი<sup>19</sup> ფიზიკური პირი აბონენტებისთვის 11%-ს შეადგენს, ხოლო იურიდიული პირებისთვის - 9%.

### აბონენტების რაოდენობა (ათასი)



<sup>18</sup> ITU-ს განმარტებით - ეს არის ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა მონაცემთა გადაცემა განხორციელდეს 256 კბ/წმ ან მეტი სიჩქარით  
<sup>19</sup> წლიური ზრდის ტემპი (CAGR - Compound Annual Growth Rate)




ფიზიკური პირი აბონენტების წილი მთლიან რაოდენობაში 95.2%-ია, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების - 4.8%.

ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა 2018 წელს 80 ათასით გაიზარდა და წლის IV კვარტლის მონაცემებით, 817 ათასს მიაღწია. შესაბამისად, 7.2%-ით გაიზარდა ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების სიმკვრივე შინამეურნეობებზე<sup>20</sup> და ამ მაჩვენებელმა 73.6% შეადგინა.


2018 წელს ფიზიკური პირი აბონენტების მნიშვნელოვანი ზრდის ტემპი ქონდა „მაგთიკომს“. მისი აბონენტების რაოდენობა 27%-ით გაიზარდა, რაც უმეტესწილად კომპანიის მიერ ოპტიკური ქსელის გაფართოებითაა გამოწვეული. ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის მიხედვით, მეორე ადგილზე „სილქნეტი“ იყო, თუმცა, 2018 წელს მისი აბონენტების ჯამური რაოდენობა 3%-ით შემცირდა. ეს გამოწვეულია რეგიონებში xDSL ტექნოლოგიის აბონენტების მიგრაციით ოპტიკურ ტექნოლოგიაზე, მათ შორის, იმ რეგიონებში, სადაც ოპტიკური ქსელი სხვა კონკურენტ ოპერატორებს უკეთესად აქვთ განვითარებული.

ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით (ათასი)



2018 წელს 14%-ით გაიზარდა „სილქნეტის“ იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა და IV კვარტლის მდგომარეობით, 17.9 ათასი შეადგინა. კომპანია ამ ტიპის აბონენტების რაოდენობით პირველ ადგილზეა, მეორე ადგილს იკავებს „მაგთიკომი“ (14.3 ათასი აბონენტი), თუმცა წლის განმავლობაში, მისი აბონენტების რაოდენობა არ გაზარდია.


იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით (ათასი)



<sup>20</sup> ფიქსირებული ფართობლოვანი ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე  
<sup>21</sup> 2013-2015/16 წლების მონაცემებში „მაგთიკომის“ აბონენტების რაოდენობაში შედის „კავკასუს ონლაინის“ და „დელტა-ნეტის“ საცალო აბონენტების რაოდენობა  
<sup>22</sup> „ახალი ქსელების“ ჯგუფში გაერთიანებულია „ახალი ქსელების“, „ახტელის“ და „ცენტრალური კავშირგაბმულობის კომპანიის“ აბონენტების რაოდენობა


ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებული საცალო შემოსავლის მზარდი ტენდენცია შენარჩუნებულია. 2018 წელს საცალო შემოსავალმა 225 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2017 წლის მაჩვენებელზე 5.7%-ით მეტია.

საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




ფიზიკური პირი აბონენტებისგან მიღებული შემოსავალი მთლიანი ოდენობის 70%-ს შეადგენს, მაშინ, როცა ამ ტიპის აბონენტების რაოდენობა მთლიანი ბაზრის 95%-ია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იურიდიული პირი აბონენტების მომსახურების საფასური მნიშვნელოვნად აღემატება ფიზიკური პირი აბონენტების მიერ გადახდილ სააბონენტო გადასახადს.

შემოსავლისა და აბონენტების გადანაწილება აბონენტების ტიპების მიხედვით



შემოსავლის გადანაწილება კომპანიების მიხედვით


აღსანიშნავია, რომ შემოსავლის 87%-ს 3 კომპანია აკენერირებს, ხოლო დანარჩენი 13% 168 კომპანიაზე ნაწილდება. „მაგთიკომს“ შემოსავლის მიხედვით ბაზრის - 44.6% უჭირავს, „სილქნეტს“ - 36.9%, „ახალი ქსელების ჯგუფს“ - 5.9%.



განცალკევებულად ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტებისგან მიღებული შემოსავლის წილების მიხედვით, კომპანიების მიმდევრობა იგივეა, რაც შემოსავლის ჯამურ გადანაწილებაში. ფიზიკურ პირებში „მაგთიკომის“ წილი 43%-ია, „სილქნეტის“ - 36%, იურიდიულ პირებში კი „მაგთიკომის“ - 47%, ხოლო „სილქნეტის“ - 40%.


ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოსავალი

იურიდიული პირებისგან მიღებული შემოსავალი



ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შემოსავლისა და მშპ-ის (მთლიანი შიდა პროდუქტი) ზრდის პროცენტული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა 2013-2015 წლებში, 2016 წლიდან დაწყებული აღნიშნული მაჩვენებლები უახლოვდება ერთმანეთს. 2018 წელს მშპ-ს რეალური ზრდა 4.7%-ს შეადგენს, ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შემოსავლის ზრდის მაჩვენებელი კი - 5.7%-ს.

მშპ და ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შემოსავალი




23 წყარო - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2018 წლის მშპ-ს ზრდის პროცენტული მაჩვენებელი პროგნოზირებულია.

ბოლო სამი წელია კლების ტენდენცია აქვს ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-ს (თვეში ერთი აბონენტისგან მიღებული საშუალო შემოსავალი). 2018 წლის IV კვარტალში ერთი აბონენტი ინტერნეტ მომსახურებაში თვეში საშუალოდ 16.8 ლარს იხდიდა, რაც წინა წელთან შედარებით 3%-ით ნაკლებია. ARPU-ს შემცირება გამოწვეულია რეგიონებში ინტერნეტ მომსახურების აბონენტების ზრდით, სადაც თბილისთან შედარებით, პროვაიდერების მიერ შეთავაზებულია შედარებით დაბალფასიანი პაკეტები და აქციები<sup>24</sup> გაცილებით უფრო ხელსაყრელი პირობებით.


იურიდიული პირების ARPU მზარდია ბოლო წლების განმავლობაში, 2018 წელსაც 8.6%-ით გაიზარდა და 147 ლარი შეადგინა.

### ARPU (ლარი)



2018 წლის IV კვარტალში ფიზიკური პირი აბონენტების ARPU თბილისისთვის, რეგიონების ამ მაჩვენებელთან შედარებით, 52%-ით მეტი იყო, 2017 წელს კი - 33%-ით.


### ფიზიკური პირი აბონენტების ARPU (ლარი) თბილისსა და რეგიონებში



<sup>24</sup> მაგ. ერთ-ერთი რეგიონალური შეთავაზება ამ პერიოდში ითვალისწინებდა სტანდარტულზე დაახლოებით 40-45%-ით ნაკლებ ფასს ინტერნეტ მომსახურებაზე

ფიზიკური პირი აბონენტების ARPU ოპტიკურ ტექნოლოგიაზე 17.0 ლარს, Wi-Fi<sup>25</sup> ტექნოლოგიაზე 15.8 ლარს, LTE ტექნოლოგიაზე 15.7 ლარს შეადგენს, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი xDSL-ზე - 17.4 ლარი ფიქსირდება.

ფიზიკური პირი აბონენტების ARPU(ლარი) ტექნოლოგიების მიხედვით




2018 წელს ფიქსირებულ ფართობოლოვან მომსახურებას სულ 143 სუბიექტი ეწეოდა. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მომსახურებას აწვდიდა - 42 კომპანია, xDSL-ით - 9, WiFi ტექნოლოგიით - 126, ფიქსირებული LTE ტექნოლოგიით - 1 ავტორიზებული პირი.

ფიზიკური პირი აბონენტების უმეტესი ნაწილი (76%), ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიას იყენებდა, მას მოსდევს Wi-Fi - 12%-ით, შემდეგ კი xDSL მომსახურება - 9% და ფიქსირებული LTE - 3%.

აღნიშნული მაჩვენებლები განსხვავებულია იურიდიული პირებისთვის. აქ Wi-Fi და xDSL ტექნოლოგიას მცირედით მეტი წილი უჭირავს.

ფიზიკური პირი აბონენტების გადასახდები ტექნოლოგიების მიხედვით


იურიდიული პირი აბონენტების გადასახდები ტექნოლოგიების მიხედვით



<sup>25</sup> 2016 წელს Wi-Fi ტექნოლოგიაზე ARPU-ს მნიშვნელოვანი შემცირება გამოწვეულია ამ ტექნოლოგიით მომსახურებების მიმწოდებელი შედარებით პატარა კომპანიების წილის გასხვისებითა და გარკვეული კომპანიების გამსხვილებით, რაც იწვევს მონაცემთა ბაზაში კვარტალური აბონენტების რაოდენობის ზრდას და შესაბამისად, ARPU-ს მაჩვენებლის შემცირებას


დინამიკაში ტექნოლოგიების მიხედვით აბონენტების გადანაწილება მნიშვნელოვნად იცვლება. აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში, ოპტიკური ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობის წლიური ზრდა<sup>26</sup> 21%-ია, მაშინ როცა წელიწადში 19%-ით იკლებს xDSL ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა. მზარდია Wi-Fi ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობაც, ძირითადად რეგიონებში, სადაც არ არის ხელმისაწვდომი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი. 2018 წელს Wi-Fi ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობამ 107 ათასი შეადგინა, xDSL ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობას 32 ათასით გადაასწრო და აბონენტების რაოდენობის მიხედვით ტექნოლოგიებს შორის, მეორე ადგილი დაიკავა. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ Wi-Fi ტექნოლოგიით მიწოდებული სიჩქარე და ხარისხი გაცილებით უკეთესია, ვიდრე xDSL ტექნოლოგიით უზრუნველყოფილი მომსახურების სიჩქარე და ხარისხი.

#### აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)



2018 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი მომსახურების აბონენტების 58% „მაგთიკომის“ მომსახურებით სარგებლობდა, 31% - „სილქნეტის“, სხვა ოპერატორების წილი ჯამში 11%-ს შეადგენს.


#### ოპტიკური ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება



<sup>26</sup> წლიური ზრდის ტემპი (CAGR - Compound Annual Growth Rate)

რაც შეეხება xDSL ტექნოლოგიას, აბონენტების 89% „სილქნეტის“ მომხმარებელი იყო, „ახალი ქსელების“<sup>27</sup> - 6%, „ახტელის“ - 4%, ყველა სხვა ოპერატორის წილი კი ჯამში 1%-ს შეადგენდა.


**xDSL ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება**



Wi-Fi ტექნოლოგიაზე, ოპტიკური და xDSL ტექნოლოგიებისგან განსხვავებით, აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით, მეტნაკლებად თანაბრად არის განაწილებული. 2018 წლის IV კვარტლის მდგომარეობით აღნიშნულ ტექნოლოგიაზე აბონენტების ყველაზე დიდი წილი 13% ჰქონდა „სქაიტელს“ (13,787 აბონენტი), მას მოსდევდა „MAXNET“ 5%-ით (5,519 აბონენტი) და „თრიალეთი-ნეტი“, ასევე აბონენტების რაოდენობის 5%-იანი წილით (5,134 აბონენტი), დარჩენილი 77% კი 123 კომპანიაზე გადანაწილდა, მათ შორის 1000-ზე მეტი აბონენტი 31 კომპანიას ჰყავდა.

ოპტიკური ტექნოლოგიის განვითარებამ შესაძლებელი გახადა აბონენტებისთვის ინტერნეტ მომსახურების გაცილებით მაღალი სიჩქარეების მიწოდება. 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, აბონენტების ჯამურ რაოდენობაში შემცირდა ისეთი ინტერნეტ პაკეტების აბონენტების წილი, რომელთა მომსახურების სიჩქარე 30-დან 99 მბ/წმ-მდე დიაპაზონშია, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია აბონენტების ზრდით რეგიონებში, სადაც სარგებლობენ ინტერნეტ მომსახურების შედარებით დაბალი სიჩქარის პაკეტებით.

**აბონენტების რაოდენობის გადანაწილება დეკლარირებული სიჩქარის დიაპაზონების მიხედვით**




<sup>27</sup> „ახალი ქსელები“ და „ახტელი“ ურთიერთდამოკიდებული აფილირებული პირები არიან

2018 წლის ბოლოს საქართველოში ყველაზე მეტი აბონენტი ინტერნეტ მომსახურების ისეთ პაკეტს იყენებდა, რომელთა დეკლარირებული სიჩქარე 10 მბ/წმ-დან 29 მბ/წმ-მდე შუალედში იყო. ამ აბონენტების წილმა 56% შეადგინა.


აღნიშნული მაჩვენებელი მეტია და 70% აღწევს ოპტიკური ტექნოლოგიის შემთხვევაში, მაშინ როცა მნიშვნელოვნად ნაკლებია სხვა ტექნოლოგიებისთვის: LTE-ზე - 31%, Wi-Fi-ზე - 13%, ხოლო xDSL ტექნოლოგიაზე უმნიშვნელო წილი ფიქსირდება (მხოლოდ 2%). LTE, Wi-Fi და xDSL ტექნოლოგიებზე მომხმარებლების უმრავლესობა 1-დან 9 მბ/წმ-მდე სიჩქარის ინტერნეტს მოიხმარს, რაც ამ უკანასკნელისთვის ნაწილობრივ მისი ტექნიკური შეზღუდვებით და მახასიათებლებით არის გამოწვეული.

### აბონენტების რაოდენობის გადანაწილება ტექნოლოგიებისა და სიჩქარეების მიხედვით




განსხვავებულია იურიდიული და ფიზიკური პირი აბონენტების გადანაწილება მათ მიერ მოხმარებული სიჩქარეების დიაპაზონების მიხედვით. იურიდიული პირების შემთხვევაში, დომინირებს 0-9 მბ/წმ დიაპაზონი (68%), ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში 10-დან 29 მბ/წმ (58%).

### ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობის განაწილება დეკლარირებული სიჩქარეების მიხედვით




ფიზიკურ პირ აბონენტებში პაკეტების მაქსიმალური სიჩქარის გადანაწილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2017 წელთან შედარებით, თბილისში განსაკუთრებით დიდია აბონენტების ზრდა 10 და 20 მბ/წმ-იანი სიჩქარის პაკეტზე, ხოლო 30 და 50 მბ/წმ-იანი სიჩქარის აბონენტების რაოდენობა შემცირდა, შესაბამისად 44% და 46%-ით. აღნიშნული კლება ინტერნეტ სერვისის მიმწოდებელი კომპანიების მიერ აბონენტებისათვის შეთავაზებული კონკრეტული მასშტაბური აქციების პირობების ვადის გასვლის შედეგია.

**ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება პაკეტის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით - თბილისი (მბ/წმ)**



რეგიონალური შეთავაზებების ეფექტი აისახა 20 და 30 მბ/წმ მაქსიმალური სიჩქარის პაკეტების მომხმარებელი აბონენტების რაოდენობის ზრდაში. კერძოდ, 20 მბ/წმ-იანი პაკეტის აბონენტების რაოდენობა 59%-ით გაიზარდა, ხოლო 30 მბ/წმ-იანი პაკეტის აბონენტების რაოდენობა თითქმის გასამმაგდა.


**ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება პაკეტის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით - რეგიონები (მბ/წმ)**




2018 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების 401 ათასი (47%) აბონენტი თბილისშია, ხოლო 457 ათასი (53%) - რეგიონებში. 2018 წელს წინა წელთან შედარებით, აბონენტების რაოდენობის განსაკუთრებით დიდი, 17%-იანი ზრდა დაფიქსირდა რეგიონებში, მაშინ, როცა თბილისში აბონენტების რაოდენობა 4%-ით გაიზარდა.

საინტერესოა რეგიონებში აბონენტების რაოდენობის გადანაწილება კომპანიების მიხედვით. 2016 წელს „მაგთიკომის“ მიერ „კავკასუს ონლაინისა“ და „დელტაკომის“ შექმნისა და ამავე პერიოდის რეგიონებში ოპტიკური ქსელის აქტიური განვითარების შედეგად, მისი აბონენტების რაოდენობა 2018 წლის ბოლოსთვის 2016 წელთან შედარებით, დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა.

აბონენტების რაოდენობის ზრდის ტენდენცია თბილისსა და რეგიონებში (ათასი)




აბონენტების რაოდენობა რეგიონებში (ათასი)



ინტერნეტის სიმკვრივე (აბონენტების რაოდენობის შეფარდება შინამეურნეობების რაოდენობაზე) თბილისში 111%-ია, რაც გამოწვეულია ერთ ოჯახში რამდენიმე ინტერნეტ მომსახურების არსებობით (სხვადასხვა პროვაიდერისგან), იჯარით გაცემულ/საიჯაროდ განსაზღვრულ უძრავ ქონებაში არსებული ინტერნეტ მომსახურებით და რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები მოსახლეობის აღრიცხვიანობით. ასევე, ვინაიდან იურიდიული პირებისათვის განკუთვნილი ინტერნეტ მომსახურება გაცილებით ძვირია, ვიდრე მსგავსი მომსახურება ფიზიკური პირებისთვის, შესაძლოა მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები სარგებლობდნენ კიდევაც ინტერნეტ მომსახურებით, ოღონდ არა იურიდიული პირების პაკეტით, არამედ ფიზიკური პირის პაკეტით და ისინი შესაბამისად, აღრიცხებიან ფიზიკურ პირ მომხმარებლებში.

ინტერნეტ მომსახურების სიმკვრივის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით, მნიშვნელოვნად განსხვავებულია. აჭარაში აღნიშნული მაჩვენებელი 88%-ს აღწევს, მაშინ, როცა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მხოლოდ 7%-ია. ინტერნეტის სიმკვრივე განსაკუთრებით დაბალია გურიასა (32%) და სამეგრელო-ზემო სვანეთშიც (39%).

ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სიმკვრივე




28 2013-2015/16 წლების მონაცემებში „მაგთიკომის“ აბონენტების რაოდენობაში შედის „კავკასუს ონლაინის“ და „დელტა-ნეტის“ საცალო აბონენტების რაოდენობა. „ახალი ქსელების ჯგუფში“ გაერთიანებულია „ახალი ქსელების“, „ახტელის“ და „ცენტრალური კავშირგაბმულობის კომპანიის“ აბონენტების რაოდენობა.


საინტერესოა ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სიმკვრივის საქართველოს მაჩვენებლის შედარება ევროპის ქვეყნების იმავე მაჩვენებელთან<sup>29</sup>.

თბილისში ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სიმკვრივე შინამეურნეობებში 2013 წლიდან აღემატება ევროპის ქვეყნების მჭიდროდ დასახლებული პუნქტების ამ მაჩვენებელს. პირიქით არის დედაქალაქს გარეთ, თუმცა ზრდის ტემპი საქართველოს რეგიონებში უფრო დიდია, ვიდრე ეს არის ევროპის ქვეყნების სიმჭიდროვით მსგავსი ტიპის დასახლებული პუნქტებისთვის.

#### ინტერნეტის კენეტრაცია თბილისსა და ევროპის 28 ქვეყანაში (მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში)




#### ინტერნეტის კენეტრაცია საქართველოს რეგიონებში და ევროპის 28 ქვეყანაში (ნაკლებად დასახლებულ პუნქტებში)



<sup>29</sup> წყარო: <http://ec.europa.eu/eurostat>


2018 წლის ბოლოს საქართველოს ხუთ დიდი ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და ფოთში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის მომხმარებელთა რაოდენობამ ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობის 89% შეადგინა. ოპტიკური ქსელის განვითარებამ და ამ ტექნოლოგიაზე xDSL ტექნოლოგიის აბონენტების მიგრაციამ 2013 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვნად შეამცირა ამ ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა და მისმა წილმა, 2018 წლის ბოლოს, 9% შეადგინა. უმნიშვნელოა უკაბელო ფართოზოლოვანი (Wi-Fi) ინტერნეტ მომსახურების აბონენტების წილი ამ ქალაქებში და ის მხოლოდ 2%-ს შეადგენს.

აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით საქართველოს 5 დიდ ქალაქში (ათასი)




აღსანიშნავია, რომ ხუთივე დიდ ქალაქში ოპტიკური ტექნოლოგიის აბონენტების წილი ქალაქის აბონენტების მთლიან რაოდენობაში 80%-ზე მეტია, ყველაზე დიდი წილი კი, რუსთავში - 98% ფიქსირდება.

აბონენტების განაწილება საქართველოს 5 დიდ ქალაქში ტექნოლოგიების მიხედვით




ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის მომხმარებელი აბონენტების უდიდესი ნაწილი - 55% თბილისშია. საქართველოს ხუთდიდ ქალაქზე (თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და ფოთში) ამ ტექნოლოგიის მომხმარებელთა 76% მოდის, დანარჩენ საქართველოზე კი სულ - 24%. აღნიშნული განაწილების ძირითადი მიზეზია, რეგიონებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შეზღუდული ხელმისაწვდომობა, თუმცა პროგრესი შეინიშნება. ოპტიკური ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობაში იმ აბონენტების წილი, რომლებიც საქართველოს 5 დიდ ქალაქს გარეთ არიან, 2017 წელს 19%-ს შეადგენდა, 2018 წელს კი აღნიშნულმა მაჩვენებელმა 24% შეადგინა.

### ოპტიკური ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება



ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურება ხელმისაწვდომია<sup>30</sup> საქართველოს ყველა ქალაქსა და დაბაში, რაც შეეხება სოფლებს, საქართველოში სულ 3388 სოფელია, საიდანაც მხოლოდ 50%-ში არის ინტერნეტ მომსახურების ერთი აბონენტი მაინც.

### ინტერნეტის ხელმისაწვდომობა დასახლებებში (ცხრილში მოცემულია დასახლებების რაოდენობა)




<sup>30</sup> ხელმისაწვდომობაში იგულისხმება დასახლებებში ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურების 1 აბონენტის მაინც არსებობა (ფიზიკური ან იურიდიული)

საქართველოში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა<sup>31</sup> დაახლოებით 180 ათასია, მაშინ, როცა ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურების იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა 41 ათასს შეადგენს. რაც ნიშნავს, რომ ბიზნეს სუბიექტების მხოლოდ 23%-ს აქვს ინტერნეტ მომსახურება. აღნიშნული მდგომარეობის მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ იურიდიული პირებისათვის განკუთვნილი მომსახურება გაცილებით ძვირია, ვიდრე მსგავსი მომსახურება ფიზიკური პირებისთვის, შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები შესაძლოა სარგებლობდნენ კიდევაც ინტერნეტ მომსახურებით, ოღონდ არა იურიდიული პირების პაკეტით, არამედ ფიზიკური პირებისთვის განკუთვნილი ინტერნეტ მომსახურებით.

თბილისში ამ მონაცემებით მოქმედი ბიზნეს სუბიექტების 34%-ს აქვს ინტერნეტ მომსახურება. რეგიონების ტრილში ამ მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობაა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (7%) და გურიაში (9%).

**მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა და ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტის ეონა მათ შორის**




31 წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

## კომბინირებული შეთავაზებების მოხმარება


2018 წლის დეკემბრის მონაცემებით საქართველოში ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტმომსახურების მომხმარებელი აბონენტების ყველაზე დიდი წილი ინტერნეტმომსახურების მიმწოდებელი კომპანიის ინტერნეტმომსახურებასთან ერთად მაუწყებლობის ტრანზიტული მომსახურებით სარგებლობს. სამი მომსახურების კომბინაციაში დომინირებს ინტერნეტის, ტელევიზიის და მობილური მომსახურების კომბინაცია. ერთი პროვაიდერის ოთხი მომსახურებით აბონენტების უმნიშვნელო წილი სარგებლობს. აღნიშნულ ანალიზში მონაწილეობენ სილქნეტის, მაგთიკომისა და ახალი ქსელების ჯგუფის ფიზიკური პირი აბონენტები. სხვა მომსახურებებში გათვალისწინებულია მაუწყებლობის IPTV ტექნოლოგია, ფიქსირებული PSTN ტექნოლოგიის სატელეფონო მომსახურება და მობილური მომსახურება.

ფიქსირებული ფართობლოვანი ინტერნეტ მომსახურების მოხმარება ცალკე და სხვა მომსახურებებთან კომბინაციაში (სილქნეტი, მაგთიკომი, ახალი ქსელების ჯგუფის აბონენტები)



ყოველწლიურად იმატებს როგორც მობილური, ასევე ფიქსირებული ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა. 2018 წლის ბოლოსთვის მობილურ ინტერნეტს იყენებდა 2.9 მლნ აბონენტი; ფიქსირებული ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა კი 858 ათასი იყო. მობილურის შემთხვევაში საშუალოდ ყოველწლიური სააბონენტო ზრდა შეადგენს 6.3%-ს, ხოლო ფიქსირებული ინტერნეტის (ფიზიკური პირების) შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 11%-ია. 2018 წლის IV კვარტალის მონაცემით, ჯამურად მობილურ აბონენტებში ინტერნეტ მომხმარებლების სიმკვრივე 55% შეადგენდა. იგივე პერიოდისთვის ფიქსირებული ინტერნეტის მომხმარებლების სიმკვრივე შინამეურნეობებში კი - 74%-ს.


### მობილური და ფიქსირებული ინტერნეტ მომხმარებლების სიმკვრივე



## მაუწყებლობის ტრანზიტი


2018 წლის IV კვარტალში მაუწყებლობის ტრანზიტის მიმღები 698.1 ათასი აბონენტი დაფიქსირდა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14%-ით (86 ათასი აბონენტი) მეტია. აბონენტების რაოდენობის ყოველწლიური საშუალო ზრდა 13%-ია.

### აბონენტების რაოდენობა (ათასი)




შესაბამისად, გაიზარდა სააბონენტო სიმკვრივეც - მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტების სიმკვრივემ მოსახლეობაზე<sup>32</sup> 18.4%, ხოლო შინამეურნეობებზე<sup>33</sup> 62.2% შეადგინა.

### სააბონენტო სიმკვრივე



მაუწყებლობის ტრანზიტიდან მიღებულმა საცალო შემოსავალის წლიურმა ოდენობამ 95.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 26%-ით (20 მლნ ლარით) მეტია. საცალო შემოსავლების ყოველწლიური საშუალო ზრდა 16%-ია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლების ზრდის მაჩვენებლებს.


### საცალო შემოსავლების რაოდენობა (მლნ ლარი)




<sup>32</sup> მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანის მოსახლეობის რაოდენობაზე  
<sup>33</sup> მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე

2018 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, IPTV ტექნოლოგია მაუწყებლობის ტრანზიტის კვლავ ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. მისი წილი წინა წელთან შედარებით, 11%-ით გაიზარდა და 69% გახდა. IPTV-ის საცალო შემოსავლების წილიც მთლიან შემოსავალში 12%-ით გაიზარდა და 76%-ს შეადგენს.


აბონენტების განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით




საცალო შემოსავლების განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით



აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)




საცალო შემოსავალი ტექნოლოგიების მიხედვით (მლნ ლარი)




2018 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, 2017 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით, IPTV-ის აბონენტების რაოდენობა 35%-ით, ხოლო საცალო შემოსავლების წლიური ოდენობა 49%-ით გაიზარდა.

IPTV-ის აბონენტების რაოდენობა (ათასი)




IPTV-ის საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




IPTV მომსახურებას 2018 წლის ბოლო კვარტალში, ძირითადად ორი ოპერატორი - „მაგთიკომი“ (55%) და „სილქნეტი“ (38%) აწვდიდა.

### IPTV-ის აბონენტების განაწილება




2018 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, 2017 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით, თანამგზავრული ტექნოლოგიების ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა - 19%-ით, კოაქსიალურის - 28%-ით, ხოლო რადიოსიხშირული ტექნოლოგიების ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა - 37%-ით შემცირდა.

### თანამგზავრული, კოაქსიალური და რადიოსიხშირული აბონენტების რაოდენობა (ათასი)



შემცირდა თანამგზავრული, კოაქსიალური და რადიოსიხშირული ტექნოლოგიების ტრანზიტის წლიური საცალო შემოსავლები: თანამგზავრული - 9%-ით, კოაქსიალური - 11%-ით, რადიოსიხშირული - 29%-ით.


თანამგზავრული, კოაქსიალური და რადიოსიხშირული ტექნოლოგიების ტრანზიტული მომსახურების საცალო შემოსავლები (მლნ ლარი)



2018 წლის დეკემბერში საქართველოში სულ 28 მულტიპლექსის ოპერატორი საქმიანობდა, თუმცა მულტიპლექსის მომსახურებით კომერციული შემოსავალი მხოლოდ 11-მა მათგანმა მიიღო; დანარჩენი ოპერატორები საკუთარ არხებს/არხს ავრცელებდნენ და, შესაბამისად, მულტიპლექსით კომერციულ მომსახურებას არ ეწეოდნენ.

მულტიპლექსით მომსახურებიდან ოპერატორებმა შემოსავლის სახით წლის განმავლობაში 6.2 მლნ ლარი მიიღეს, რომლის ძირითადი ნაწილი „სტერეო+“ ზე და „საქართველოს ტელე-რადიო ცენტრზე“ მოდიოდა.

მულტიპლექსების მიერ დაგენერირებული შემოსავლის განაწილება




## ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე გამოიყენებოდა სადენიანი, უსადენო (CDMA) და VoIP (ხმოვანი კავშირი IP პროტოკოლით) ტექნოლოგიები. 2018 წელს ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე სულ 30 კომპანია ოპერირებდა. ფიქსირებულ სადენიანი ტექნოლოგიით მომსახურებას აწვდიდა 9 ავტორიზებული პირი, უსადენოთი – 2, VoIP-ით – 30<sup>34</sup>. 9 კომპანია ოპერირებდა ერთზე მეტი ტექნოლოგიით: ორი ტექნოლოგიით – 7 კომპანია, სამივეთი მხოლოდ – ორი მათგანი: „სილქნეტი“ და „მაგთიკომი“.


2018 წლის IV კვარტალში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 594 ათასი აბონენტი შეადგინა. 2017 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 16.7%-ით (119 ათასი აბონენტი) შემცირდა. ფიქსირებული ტელეფონის აბონენტების (შესაბამისად, შემოსავლებისა და ტრაფიკის) შემცირება მსოფლიოში არსებული ტენდენციისაა, რაც უმთავრესად მობილური მომსახურებების განვითარების, ინტერნეტის ხელმისაწვდომობის და ამით გამოწვეული OTT (Over-The-Top) სერვისების მოხმარების ზრდის შედეგია.

აბონენტების რაოდენობა შემცირდა სადენიან და უსადენო ტექნოლოგიაზე, შენარჩუნდა მხოლოდ VoIP ტექნოლოგიაზე, რაც გამომწვეულია გარკვეული აბონენტების მიგრაციით VoIP ტექნოლოგიაზე ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების სხვა ტექნოლოგიებიდან (უმთავრესად სხვა ოპტიკურ მომსახურებებთან კომბინაციაში უკეთესი პირობების გამო).

აბონენტების რაოდენობა (ათასი)




აბონენტების რაოდენობა (ათასი)



ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების სიმკვრივე შინამეურნეობებზე 2018 წლის IV კვარტლის მდგომარეობით 47%<sup>35</sup>-ია. გასულ წელს აღნიშნული მაჩვენებელი 57%-ს შეადგენდა. ოპერატორების მხრიდან, განსხვავებით მობილური მომსახურების პირობებისა, ფიქსირებული მომსახურების არ მოხმარების შემთხვევაში არ ხდება მომხმარებლისთვის სატელეფონო ნომრის/ხაზის გაუქმება მოკლე ვადაში, რაც მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს აბონენტების შენარჩუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იქნებოდა.

სააბონენტო სიმკვრივე




<sup>34</sup> ზოგიერთი კომპანია ერთდროულად რამდენიმე ტექნოლოგიას იყენებს. შესაბამისად, ტექნოლოგიების მიხედვით ოპერატორთა რაოდენობის ჯამი არ უდრის სულ მოქმედი ოპერატორების ჯამს


<sup>35</sup> ფიქსირებული სატელეფონო მომსახურებით მოსარგებლე ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა შეფარდებულია ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ჯამური საცალო შემოსავალი კლების ტენდენციით ხასიათდება, მცირედით მზარდია შემოსავალი მხოლოდ VoIP ტექნოლოგიაზე.

საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების გამავალი ტრაფიკი 2018 წელს კიდევ შემცირდა. თუ 2017 წელს იგი 873 მლნ წუთს შეადგენდა, 2018 წელს მან 666 მლნ წუთი შეადგინა.

გამავალი წუთები (მლნ)




გამავალი ტრაფიკი ტექნოლოგიების მიხედვით




ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობით ლიდერობს „სილქნეტი“, ფიქსირებულ უსადენო ტექნოლოგიაზე აბონენტების დომინანტური წილი „მაგთიკომს“ უჭირავს. VoIP ტექნოლოგიაზე აბონენტების რაოდენობით პირველ ადგილზე „სილქნეტია“, ხოლო მეორე ადგილზე - „ჯონეთი“.


სადენიანი აბონენტების ბანაწილება



უსადენო აბონენტების ბანაწილება




VoIP აბონენტების ბანაწილება



- მაგთიკომი
- სილქნეტი
- ჯონეთი
- სხვა

## ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები

2018 წელს ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის ოდენობა 259.6 მლნ ლარს შეადგენს, რაც 13%-ით ნაკლებია 2017 წლის იგივე მაჩვენებელზე.




ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიცია (მლნ ლარი)


ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების<sup>36</sup> მიხედვით, სამი კომპანია ლიდერობს: შპს „მაგთიკომი“, სს „სილქნეტი“ და შპს „ვიონი საქართველო“. მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია მთლიანი ოდენობის 92%-ს შეადგენს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მზარდია ფიქსირებულ სადენიან და მუწყებლობის ტრანზიტულ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის წილი მის მთლიან ოდენობაში.

ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება უსაფრთხოების მიხედვით



2018 წლის მონაცემებით, ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის ყველაზე დიდი წილი - 53% აპარატურაზე მოდის.




2018 წელს ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება (მლნ ლარი)

- აპარატურა
- ფიზიკური ინფრასტრუქტურა
- პროგრამული უზრუნველყოფა
- სხვა

<sup>36</sup> კაპიტალური ინვესტიციები მოიცავს იმ კომპანიების მონაცემებს, რომელთა წლიურმა შემოსავალმა ჯამში 2018 წლის მთლიანი შემოსავლის 80%-ზე მეტი შეადგინა

# ქართული კანონების ჰარმონიზაცია ევროპულ კანონმდებლობასთან



## „ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ საქართველოს კანონის ცვლილებების პაკეტი<sup>37</sup>

2018 წელს დასრულდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტი - „საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარება“. ასოციაციის შეთანხმების ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, კომისიამ EBRD-ის ექსპერტების რეკომენდაციებით, მოამზადა და პარლამენტში საკანონმდებლო ინიცირებისთვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაუგზავნა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელიც ევროპის კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაშია. კანონპროექტი მიზნად ისახავს ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრის განვითარების ხელშეწყობას, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი გარანტიების შექმნას და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ეფექტური მექანიზმების შემუშავებას.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებით ახალი რეგულაციები შემდეგი დირექტივების შესაბამისად დგინდება:

- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურების ზოგადი მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურების ავტორიზაციის შესახებ;
- ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის შესახებ;
- ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ.

## „დაძმობილების პროექტის (ტვინინგის) მხარდაჭერით, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებები

ევროპულ კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან ჰარმონიზაციის მიზნით, კომისიამ ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკა გაიზიარა და „დაძმობილების“ პროექტის ფარგლებში, მთელი რიგი დადგენილებების პროექტები შეიმუშავა:

- საჯარო კონსულტაციების გამართვის პროცედურებისა და წესების დამტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტი;
- ზოგადი ნებართვის დამტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტი;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, მომსახურებების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი - „ტექნიკური რეგლამენტი რადიო აპარატურის შესახებ“ - რადიო აპარატურის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებული წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციისა და 1999/5/EC დირექტივის გაუქმების შესახებ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2014 წლის 16 აპრილის 53/EU დირექტივის შესაბამისად. აღნიშნული დადგენილების პროექტი უკვე წარედგინა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს;
- ინტერნეტ-მმართველობისა და ქსელის უსაფრთხოების სამწლიანი სამოქმედო გეგმა.

37 კანონპროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართი N5

## „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების პაკეტი<sup>38</sup>

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, EBRD-სა და ევროკავშირის ექსპერტების ჩართულობითა და რეკომენდაციებით, აუდიოვიზუალური მედიის მომსახურების შესახებ, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2010 წლის 10 მარტის N 2010/13/EU დირექტივის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა შეისწავლა და აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი საქართველოს პარლამენტს წარუდგინა.

საქართველოს კანონმდებლობის აუდიოვიზუალური მედია მომსახურების შესახებ N 2010/13/EU ევრო დირექტივასთან<sup>39</sup> შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება, ასოცირების ხელშეკრულების XXXIII დანართით არის განსაზღვრული. EBRD-ის ევრო კომისიის და ევროპის საბჭოს ექსპერტებმა მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის სრული ანალიზი გააკეთეს, რომლის მიხედვითაც, ქართულ კანონმდებლობაში ევროპულ კანონმდებლობასთან შეუსაბამობაში არსებული მთელი რიგი ნორმების ცვლილებების განხორციელების რეკომენდაცია მოგვცეს.

მომზადებული ცვლილებების პაკეტი იმ წესებს განსაზღვრავს, რომლებიც მედია პლურალიზმს უზრუნველყოფს. ასევე, ბაზარზე აუდიოვიზუალური მედიის ახალი სახეებისთვის თანაბარი პირობების შექმნასა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მედია მომსახურების ხელმისაწვდომობას ითვალისწინებს. კანონპროექტი არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვას, და სხვადასხვა ნიშნით შუღლის (სიძულვილის) გაღვივებისკენ მიმართულ პროგრამებზე ეფექტიან რეაგირებას უზრუნველყოფს.

<sup>38</sup> კანონპროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში N6

<sup>39</sup> 2010 წლის 10 მარტის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2010/13/EU დირექტივა აუდიოვიზუალური მედია მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წერილი სახელმწიფოების კანონებით, რეგულაციებით, ან ადმინისტრაციული აქტებით გათვალისწინებული გარკვეული დებულებების კოორდინაციის შესახებ

# მუწყებობა



## წინასაარჩევნო მონიტორინგი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს „წინასაარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ შესახებ დადგენილების თანახმად, კომისიას აქვს ვალდებულება შეისყიდოს მედია მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო მომსახურება, ან უშუალოდ განახორციელოს მედია მონიტორინგი ან/და გამოიყენოს მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და სამოქალაქო სექტორის სუბიექტების მიერ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას ჩატარებული და ამ წესების რეგულაციური, საჯაროდ ხელმისაწვდომი მედია მონიტორინგის შედეგები.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგს, კომისია 24 საათიან რეჟიმში, 28 აგვისტოდან 28 ნოემბრის ჩათვლით, არჩევნების მეორე ტურის გათვალისწინებით ახორციელებდა. მონიტორინგი, რომელსაც კომისიის თანამშრომლებთან ერთად სპეციალურად შერჩეული მონიტორები ახორციელებდნენ, 40-ზე მეტ ტელეარხს, 40-მდე რადიო მაუწყებელს და ცენტრალური, ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ გაზეთებს ჩაუტარდა.

მედია მონიტორინგის პროცესში, კომისიის დაკვირვების საგანს წინასაარჩევნო რეკლამა, წინასაარჩევნო დებატები, ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები, ასევე, წინასაარჩევნო აკტივობა და საზოგადოებრივი აზრის კვლევები/გამოკითხვები წარმოადგენდა.

მონიტორინგის პროცესში, დეტალური ანალიზი გაკეთდა სამაუწყებლო კომპანიებში წინასაარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინასაარჩევნო დებატების მონიტორინგისას, ყურადღება გამახვილებული იყო სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. დაკვირვების საგანს წარმოადგენდა ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობენ არჩევნებში.

მედია მონიტორინგის შედეგებში მოცემულია ინფორმაცია ახალი ამბების პროგრამებში საარჩევნო სუბიექტებისათვის პირდაპირ და ირიბად დათმობილი დროის შესახებ, როგორც პრაიმ ტაიმში, ასევე პრაიმ ტაიმს მიღმა. ინფორმაცია ჩაშლილია გენდერულ ჭრილშიც.

საანგარიშო პერიოდში კომისიის, საარჩევნო სუბიექტების, მედიისა და არასამთავრობო სექტორის ყურადღება რამდენიმე ძირითად საკითხზე გამახვილდა:

მაუწყებლების მიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევის ჩატარება;

მაუწყებლების მიერ ეთერში პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსება;

მაუწყებლების მიერ უფასო პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის ლიმიტის გაზრდა;

პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამების კანონ-შესაბამისობა;


კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ ე.წ. ტექნიკური კანდიდატების რეგისტრაცია;

მაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო დებატების უზრუნველყოფა.

2018 წლის პრეზიდენტი არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში კომისიამ მედია მონიტორინგის სამი დეტალური ანგარიში<sup>40</sup> გამოაქვეყნა.

მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის, კომისია ყოველ კონკრეტულ საკითხს სწავლობდა და კანონისმიერ ღონისძიებებს ატარებდა.

2018 წლის პრეზიდენტის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგისას ტელე-მაუწყებლების მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები:



## პროდუქტის განთავსება

2018 წლის დასაწყისში კომისიამ პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსების (Product Placement) სახელმძღვანელო რეკომენდაციები<sup>41</sup> შეიმუშავა. რეკომენდაციების მიღების მიზანს, პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსების საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილებების თაობაზე მაუწყებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ინფორმირება წარმოადგენდა.

## რადიო მაუწყებლობის პრიორიტეტები

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კომისია ორ წელიწადში ერთხელ რადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს ადგენს, რომლის მიხედვითაც ხდება რადიომაუწყებლობის სფეროში კონკურსების გამოცხადება, გამარჯვებულების გამოვლენა და მათთვის ლიცენზიების გაცემა. 2018 წელს კომისიამ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგად რადიო სამაუწყებლო პრიორიტეტები<sup>42</sup> დაამტკიცა, რომელიც 2020 წლის 7 ივნისამდეა ძალაში. აღნიშნულ პერიოდში კომისიის გადაწყვეტილებით, კერძო საერთო ან სპეციალიზებული რადიო მაუწყებლობის და სათემო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსები სალიცენზიო განაცხადების გათვალისწინებით, ცალ-ცალკე გამოცხადდება, ასევე, ცალ-ცალკე გამოცხადდება კონკურსები მოქმედი რადიო მაუწყებლებისთვის, მაუწყებლობის არსებული არეალის გაფართოებისა და ახალი ადგილობრივი მაუწყებლის შექმნის მიზნით. კონკურსის გამოცხადებისას და ლიცენზიის მაძიებელთა მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციების შეფასებისას, კომისია მაუწყებლობის თითოეული სახეობისთვის (კერძო, სათემო) და კერძო მაუწყებლობის ქვესახეობისთვის (საერთო და სპეციალიზებული) დადგენილი რადიო სამაუწყებლო პრიორიტეტებით იხელმძღვანელებს. სათემო რადიომაუწყებლობაზე კონკურსები ცალკე გამოყოფილ სიხშირულ დიაპაზონში გამოცხადდება. ასევე, საზოგადოებრივი აზრის კვლევაში ასახული პრიორიტეტული რადიოპროგრამების გათვალისწინებით იხელმძღვანელებს კომისია სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსის შეფასებისას.

<sup>40</sup> <http://bit.ly/2JHs7Cs> (www.gncc.ge)

<sup>41</sup> <http://bit.ly/2JHtIQ4> (www.gncc.ge)

<sup>42</sup> <http://bit.ly/30n7nGj> (www.gncc.ge)

## 2012-2017 წლების სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების ანალიზი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2012-2017 წლების სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების ანალიზი<sup>43</sup> ჩაატარა, რომლის შედეგებიც 2018 წელს გამოაქვეყნა. ანალიზის მიხედვით, 2012-2017 წლების მონაცემებით, სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლები მზარდია. სარეკლამო შემოსავლების 81% ორი ყველაზე დიდი მედია ჰოლდინგის „ტელეიმედი“ („ტელეკომპანია იმედი“, „GDS“, და „მაესტრო“) და „სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ („რუსთავი 2“, კომედი, მარაო) ჰქონდათ გადახანილებული.

2017 წელს აღნიშნულმა ორმა მედიაჰოლდინგმა არსებითად შეცვალა სარეკლამო დროის გაყიდვების სისტემა, კერძოდ, საკუთარ არხებზე სარეკლამო დროის ექსკლუზიური გაყიდვის უფლება კომპანია „ინტერ მედიას“ გადასცეს. აღნიშნულმა გარიგებამ სარეკლამო ბაზარზე სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების გადახანილების მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია.

ტელემარკეტინგის სარეკლამო შემოსავლების შესწავლის მიზნით, კომისიამ რეკლამის დამკვეთი კომპანიებისგან განეული სარეკლამო ხარჯების შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა. ტელეკომპანიებისგან კი გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, მათ მიერ გაყიდული სარეკლამო დროიდან მიღებული შემოსავლების შესახებ, კომპანიების ჭრილში. წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სარეკლამო სააგენტოები რეკლამის დამკვეთისგან რეკლამის განთავსებისთვის გადახდილი თანხის 27% იტოვებდნენ, ხოლო ზოგ შემთხვევაში ეს თანხა 33%-ს აღწევდა. ამ და სხვა კომპანიებიდან რეკლამაში გადახდილი თანხების შესწავლამ ცხადი გახადა, რომ მთლიანი სარეკლამო შემოსავლები ტელეკომპანიებამდე არ მისულა, შესაბამისად, ეს თანხა მათ შემოსავლებში არ აისახა. აღსანიშნავია, რომ 2017 წლამდე სარეკლამო სააგენტოების მომსახურების განაკვეთი 5-7 % პროცენტამდე მერყეობდა. ხოლო იმ სტრუქტურით, რომელიც 2017 წელს შეიქმნა, გარდა აღნიშნული 7%-ისა, დამატებით სარეკლამო ბაზრის მთლიანი შემოსავლების არაკლებ 20% ტელეკომპანიების მიღმა დარჩა. შესაბამისად, შემცირებულია არა სარეკლამო ბაზარი, არამედ ტელევიზიებში შესული თანხები.

ანალიზმა აჩვენა, რომ 15,031,975 მილიონი ლარი, რომელიც ტელევიზიებს უნდა მიეღოთ, მაგრამ ვერ მიიღეს და დარჩა ტელევიზიებს მიღმა, სწორედ იმ ახალი გაყიდვების სტრუქტურით იყო გამოწვეული, რაც კომპანიებმა 2017 წელს შექმნეს.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან აღნიშნული სისტემით, რეკლამის გაყიდვაზე თავადვე თქვეს უარი და დღეს იგივე სისტემა აღარ მოქმედებს.

შემოსავლების განაწილების სტრუქტურის ცვლილებას სარეკლამო ბაზარზე ადგილი ჰქონდა 2015 წლის IV კვარტალშიც, თუმცა სხვა მიზეზით. ამას ტელეკომპანიების 2014-2015 წლების შემოსავლებისა და შენონილი სარეიტინგო პუნქტების კვარტალურ ჭრილში ჩატარებული შედარებითი ანალიზი აჩვენებს.

კერძოდ, 2015 წლის პირველი სამი კვარტლის შემოსავლები (კომერციული რეკლამიდან და სპონსორობიდან) 2014 წლის ანალოგიური მაჩვენებლის ტოლია, ხოლო 2015 წლის IV კვარტლის შემოსავლები 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 34%-ით მცირდება.

აღმოჩნდა, რომ განსხვავებით მაუნწყებლების მიერ დეკლარირებული შემოსავლებისა, 2015 წლის სამი კვარტლის ჯამისა და IV კვარტლის ე.წ. „wGRP“-ის ტენდენციას ერთნაირია. ანუ, 2014-2015 წლების პირველი სამი კვარტლის შემოსავლები კორელაციაშია იგივე პერიოდის „wGRP“-თან, ხოლო IV კვარტალი ამოვარდნილია საერთო სურათიდან. იმისათვის, რომ გვეჩვენა რომელი ტელეკომპანიის (ტელეკომპანიების) მონაცემებმა გამოიწვია აღნიშნული არასტანდარტული ტენდენცია სარეკლამო და სასპონსორო შემოსავლები ჩავშალეთ კომპანიების ჭრილში.

2015 წლის IV კვარტლის სარეკლამო შემოსავლებში „ტელეიმედის“ მონაცემებში კლება არ შეინიშნება, ხოლო ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 2015 წლის IV კვარტლის შემოსავალი, 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, შემცირებულია 55%-ით, მაშინ როდესაც პირველი სამი კვარტალი გაზრდილია 3%-ით. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ „რუსთავი 2“-ის სამი კვარტლის მონაცემებსა და სხვა სატელევიზიო არხების შემოსავლების დინამიკაში ცვლილება არ მომხდარა, 2015 წლის IV კვარტალში კომპანია „რუსთავი 2“-ს სულ მცირე 10 მილიონი ლარით მეტი შემოსავალი უნდა მიეღო.

ბაზრის ანალიზმა აჩვენა, რომ 2017 წლის სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის შემოსავლების მსგავსად, 2015 წლის სარეკლამო ბაზრის შემოსავლებიც არ შემცირებულა, ის მინიმუმ 10 მილიონი ლარით მეტია კომისიაში კომპანიების მიერ წარმოდგენილ საკუთარ შემოსავლებთან შედარებით.

<sup>43</sup> 2012-2017 წლების სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების ანალიზი - <http://gncc.ge/uploads/other/3/3001.pdf>


## მაუწყებლობის დარგის განვითარების ტენდენციები 2018 წელს

საქართველოში დღეს არსებული მედია პოლიტიკა ტელემაუწყებლობის განსახორციელებლად ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია. მას შემდეგ, რაც 2012 წელს კანონმდებლობა შეიცვალა ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს 10 დღეში შეუძლია მაუწყებლობის დაწყება. კანონმდებლობის ცვლილების შედეგად აღნიშნული სფერო სრულიად დერეგულირებული გახდა. მაუწყებლობის დაწყება ბარიერების გარეშეა შესაძლებელი. მაუწყებლობის დასაწყებად არსებული პროცედურები მინიმუმამდეა დაყვანილი და ტელემაუწყებლობის მისაღებად, ლიცენზიის აღების ნაცვლად, მხოლოდ მარტივი ავტორიზაციის პროცესია საჭირო. ავტორიზაციის პროცედურა თითქმის იგივეა, რაც ვებ-გვერდზე რეგისტრაცია (მაგ.: მეილისა და პაროლის შეყვანა და რეგისტრაცია), განაცხადის გაკეთებიდან 10 დღეში კი მაუწყებლობის დაწყებაა შესაძლებელი. პროცედურების გამარტივებამ და ლიბერალურმა პოლიტიკამ მაუწყებლების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზარდა და დღეს მედია უფრო მრავალფეროვანია. შეგახსენებთ, რომ 2012 წლამდე ტელემაუწყებლობის დასაწყებად ლიცენზიის აღება შეუძლებელი იყო და ქვეყანაში სულ 4 ეროვნული მაუწყებელი არსებობდა (საზოგადოებრივი მაუწყებლის ჩათვლით). 2018 წელს ეს ციფრი 21-ამდე გაიზარდა და ქვეყანაში 21 ეროვნული ღია საეთერო ტელემაუწყებელი იყო. 2018 წელს ქვეყანაში სულ 98 ტელემაუწყებელი დაფიქსირდა, მაშინ, როცა 2012 წლამდე (რეგიონალური და საკაბელო მაუწყებლების ჩათვლით) 54 ტელევიზია მაუწყებლობდა.


2018 წლის მონაცემებით საქართველოში სულ 57 რადიო მაუწყებლობდა.

2018 წელს მაუწყებლობის დარგში 102 მოქმედი<sup>44</sup> პირი დაფიქსირდა. მაუწყებლობიდან 10 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 2-მა პირმა მიიღო (B კატეგორიის<sup>45</sup> კომპანიები) და მათ მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი მთელი შემოსავლის 68.1% იყო, ხოლო იმ პირების ჯამურმა შემოსავალმა, ვინც 2018 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღო (E კატეგორიის 61 პირი) მთელი შემოსავლების 1.8% შეადგინა.

მოქმედ მაუწყებელთა რაოდენობა  
საბმენატების მიხედვით



მოქმედ მაუწყებელთა შემოსავლის  
ბანანდილება საბმენატების მიხედვით




<sup>44</sup> მოქმედად განიხილება პირი, რომელსაც წლის განმავლობაში მაუწყებლობიდან რაიმე სახის შემოსავალი ჰქონდა  
<sup>45</sup> ტრადიციულად განიხილება შემდეგი კატეგორიები:

კატეგორია	წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი
A	100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი
B	10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე
C	1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე
D	100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე
E	100,000 ლარზე ნაკლები


2018 წელს მაუწყებლობიდან მიღებულმა ჯამურმა სარეკლამო შემოსავალმა 83.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2017 წელს 84.1 მლნ ლარი იყო.

**მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი (მლნ ლარი)**




2018 წელს, სატელევიზიო მაუწყებლების ჯამურმა სარეკლამო შემოსავალმა 75.3 მლნ ლარი შეადგინა, 2017 წელს ეს მაჩვენებელი 75.4 მლნ ლარს წარმოადგენდა.

**სატელევიზიო სარეკლამო შემოსავალი (მლნ ლარი)**




სატელევიზიო მაუწყებლების მიერ მიღებული ჯამური სარეკლამო შემოსავლის ძირითად წყაროს რეკლამა, პროდუქტის განთავსება და სპონსორობა შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ პროდუქტის განთავსების წილი 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, 2%-ით გაიზარდა.

**მაუწყებლობიდან მიღებული სარეკლამო შემოსავლის განაწილება სახეობების მიხედვით**



სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული სარეკლამო შემოსავლების ოდენობის მიხედვით, 2018 წელს ყველაზე დიდი წილი „რუსთავი 2“-ს<sup>46</sup> 39% ეკავა, მას მოსდევდა „ტელეიმედი“ - 34%, „ტელეკომპანია პირველი“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი - 4-4%-ით, „სილქნეტი“<sup>47</sup> კი 3%-ით. სხვა სატელევიზიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ჯამურმა წილმა 16% შეადგინა.

**სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული სარეკლამო შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით**




<sup>46</sup> „რუსთავი 2“-ის პოლიდინგში შედის სამაუწყებლო არხები: „რუსთავი 2“, „მესამე“ და „მარაო“

<sup>47</sup> „სილქნეტის“ არხებია: „სილქ უნივერსალი“, „სილქ სპორტ1“, „სილქ სპორტ2“, „სილქ სპორტ3“, „სილქ ქიქის“, „სილქ კინო პოლივუდი“ და „სილქ კინო კოლექცია“

## პირდაპირ და გადახვევის რეჟიმში ყურებადობის ეცევა


2018 წელს, ერთი ადამიანი საშუალოდ წლის განმავლობაში ტელევიზორს დაახლოებით 970 საათის განმავლობაში უყურებდა. აღსანიშნია ის ფაქტი, რომ 2016 წლიდან იკლებს პირდაპირ რეჟიმში ყურებადობა, თუმცა წლიდან წლამდე იზრდება გადახვევის ფუნქციის გამოყენებით ყურებადობა.

საშუალოდ ერთი ადამიანის მიერ წლის განმავლობაში სატელევიზიო ყურებადობა (საათი)




ტელევიზორთან გატარებული 969 საათიდან პირდაპირ რეჟიმში ყურებით, ერთი ადამიანი საშუალოდ დღეში 43 წუთს ტელესერიאלებს უთმობს. აღნიშნული დრო 2016 წელთან შედარებით 15 წუთით ნაკლებია. 2018 წელს, 2016 წელთან შედარებით, რაოდენობრივად ყველაზე მეტად საინფორმაციო გადაცემების ყურება 2 წუთით გაიზარდა. 2017 წელთან შედარებით, კი თოქ-შოუების 4.5 წუთით.

ერთი ადამიანის მიერ, საშუალოდ ერთ დღეში გადაცემების ჟანრების ყურებადობა პირდაპირ ეთერში (საათი)




ერთი ადამიანის მიერ, საშუალოდ ერთ დღეში გადაცემების ყურებადობა გადახვევის რეჟიმში (საათი)



გადახვევის ფუნქციის გამოყენებით, საშუალოდ ერთი ადამიანი ყველაზე ხშირად სატელევიზიო სერიალის ჟანრს ახვევს, რომელიც 2016 წელთან შედარებით 4, ხოლო 2017 წელთან შედარებით 1 წუთით არის გაზრდილი.


რადიო მაუწყებლების მიერ 2018 წელს დაგეგნილი სარეკლამო შემოსავალი 8.6 მლნ ლარს შეადგენდა (2017 წელს ეს მაჩვენებელი იყო 8.7 მლნ ლარი).

რადიოს სარეკლამო შემოსავლები (მლნ ლარი)




რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ძირითად წილს, თითქმის 100%-ს წარმოადგენდა რეკლამა და სპონსორობა, ძალიან მცირე წილი კი პროდუქტის განთავსებასა და განცხადებებს მოიცავდა.

რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლის განაწილება სახეობების მიხედვით



რადიო მაუწყებლობიდან მიღებული სარეკლამო შემოსავლების ოდენობის მიხედვით, 2018 წელს ყველაზე დიდი წილი 56% „რადიო პოლდინგ ფორტუნას“ ეკავა. მეორე ადგილს „რადიო იმედი“ იკავებდა - 11%, „ჯეო მედია“ და „ქართული რადიო“ - 5-5%. სხვა რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ჯამურმა წილმა 23% შეადგინა.


რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების განაწილება კომპანიების მიხედვით



## მაუწყებლობაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები


2018 წელს მაუწყებლობაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების<sup>48</sup> ოდენობამ 16.9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2017 წლის იმავე მონაცემს 6%-ით აღემატება.

მაუწყებლობაში (ტელევიზია, რადიო) განხორციელებული კაპიტალური ინვესტიცია (მლნ ლარი)



ბოლო ორი წელია მაუწყებლობაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის 80%-ზე მეტი კონტენტზე მოდის.

მაუწყებლობაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიცია მომსახურების სახეების მიხედვით



## სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანები

2018 წელს მაუწყებლების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების<sup>49</sup> სახით გადახდილმა თანხამ 19,900,370 ლარი შეადგინა, ხოლო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული ან/და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ შეტანილმა თანხამ - 250,545,568 ლარი. რაც შეეხება ლიცენზირებიდან მიღებულ შემოსავალს, სულ 2018 წელს კომუნიკაციების სფეროდან სახელმწიფო ბიუჯეტში 12,405,992 ლარი შევიდა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის ჯარიმის სახით<sup>50</sup> ბიუჯეტში 448,749 ლარი ჩაირიცხა. სულ 2018 წელს კომუნიკაციების დარგიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 283,300,679 ლარი შევიდა.

<sup>48</sup> კაპიტალური ინვესტიციები მოიცავს იმ კომპანიების მონაცემებს, რომელთა წლიურმა შემოსავალმა ჯამში 2018 წლის მთლიანი შემოსავლის 80%-ზე მეტი შეადგინა. არ შედის „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მონაცემები

<sup>49</sup> საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი (სასოფლო-აღასასოფლო)

<sup>50</sup> ადმინისტრაციული ჯარიმები იხ. დანართი 11

## საერთაშორისო თანამშრომლობა

ევროკავშირის „დაძმობილების“ (Twinning) პროექტი - „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხარდაჭერა ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწასა და ინსტიტუციონალურ გაძლიერებაში“ - ევროკავშირის დაფინანსებით 2017 წლის 12 დეკემბრიდან ხორციელდება. პროექტის ძირითადი პარტნიორია ლიეტუვას რესპუბლიკის კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანო, ხოლო თანა პარტნიორები - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკისა და ენერჯეტიკის სამინისტრო და პოლონეთის რესპუბლიკის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისი. პროექტი ექვსი კომპონენტისგან შედგება:

- საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის სიღრმისეული შესწავლა და მისი ევროკავშირის მარეგულირებელ ნორმატიულ ბაზასთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ფიქსირებული და უსადენო ფართობლოვანი მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისი რეგულაციების შემუშავება;
- ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრების განსაზღვრა;
- რადიოსიხშირული სპექტრის მინიჭების მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ინტერნეტ მმართველობასა და ქსელის უსაფრთხოების საკითხებში კომისიის როლის გაძლიერება;
- საერთაშორისო როუმინგის რეგულირება.

საანგარიშო პერიოდში „დაძმობილების“ პროექტის ფარგლებში, მნიშვნელოვანი სამუშაოებთან ერთად, ჩატარდა გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის ანალიზი, რის საფუძველზეც კომისიამ 2018 წლის 6 დეკემბერს მიიღო 671/9 გადაწყვეტილება „გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“. საერთაშორისო როუმინგის თაობაზე, მომზადდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტში ცვლილებების პროექტი. დოკუმენტი შეეხო საერთაშორისო როუმინგული მომსახურების ძირითად პირობებს, მომხმარებელთა ინფორმირებულობას, ქსელის მართვას, ალტერნატიულ შეთავაზებებს, „bill shock“-ის თავიდან არიდებასა და საფასურს.



- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებელი პლატფორმის (EaPeReg ქსელი) თავმჯდომარედ აირჩიეს და 2019 წლის განმავლობაში ქსელის მუშაობას უხელმძღვანელებს ვიცე-თავმჯდომარესთან, ლატვიის მარეგულირებელი ორგანოსთან ერთად. ამავდროულად, კომისია EaPeReg ქსელის „სპექტრის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის (SEWG)“ მუშაობასაც უხელმძღვანელებს.
- ქსელის მუშაობა 2018 წლის განმავლობაში შემდეგი მიმართულებებით განვითარდა: კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და მარეგულირებლის დამოუკიდებლობა, სიხშირეების კოორდინაცია; როუმინგული ფასების შემცირება, ფართობლოვანი მომსახურების განვითარება - ინფრასტრუქტურის ციფრული რუქის შედგენა და ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრების განვითარება.
- სპექტრის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის საქმიანობის მთავარი საკითხებია როგორც LTE ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მობილური საკომუნიკაციო ქსელების იმპლემენტაცია, ასევე, ციფრული ტელევიზიისა და ციფრული დივიდენდების დანერგვის ხელშეწყობა. კოორდინაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, ჯგუფის მიზანია ეფექტური მექანიზმების შემუშავება. SEWG აქტიურად მუშაობს თანამედროვე (5G) საკომუნიკაციო ქსელების იმპლემენტაციასა და დანერგვის სამომავლო სტრატეგიის შემუშავებაზე. აღნიშნული ჯგუფის ფარგლებში, შესაბამისი მონაცემების ანალიზი ჩატარდა ნევერ ქვეყნებში სპექტრისა და ლიცენზიების კუთხით. მიღწეულ იქნა შეთანხმება რეგიონული კოორდინაციის მიდგომებზე. შემუშავებულ იქნა მაუნყებლობის გადანაწილების ან გადაცემების პოტენციური ხელახალი არხების ან ხელახალი დაგეგმარების საკითხები. 790-862 მჰც დიაპაზონში ECS-

ის კოორდინაციის ახალი მიდგომა და მობილური სერვისების სამომავლო სტრატეგია. ასევე, ხორციელდება GE-06 გეგმის ნებისმიერი მოდიფიცირებული ცვლილების ხელშეწყობა სამომავლო განვითარების გათვალისწინებით.


- ევროკავშირთან დაახლოების მიზნით, ბროდბენდისა და ბენჩმარკინგის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფმა (BBEWG), სტატისტიკური ინდიკატორებისა და მარეგულირებელი ჩარჩოს ჭრილში, პარტნიორი ქვეყნებისა და ევროკავშირის ქვეყნების რეგულაციების შედარებითი ანალიზი ჩაატარა და მარეგულირებელი ჩარჩოს შედარებითი ანალიზისა და სტატისტიკური ინდიკატორების თაობაზე ანგარიშები<sup>51</sup> მოამზადა.
- დასრულდა როუმინგის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის (REWG), ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც, ევროკომისიის მიერ დაქირავებული საკონსულტაციო კონსორციუმის დახმარებით შესწავლილ იქნა აზერბაიჯანის, ბელორუსის, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის კანონმდებლობა და როუმინგული ბაზარი. ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები 6 ქვეყანას შორის რეგიონალური როუმინგული ხელშეკრულების გაფორმებისა და როუმინგული ტარიფების შემცირების თაობაზე. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე, REWG-მა შეადგინა და დაამტკიცა თავისი მუშაობის 2019-2020 წლების გზამკვლევი, რომელიც ასახავს დროში განვიწყობს იმ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადაიდგას პარტნიორი ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოებისა და ასევე, ყველა დაინტერესებული მხარის მიერ, რათა პარტნიორ ქვეყნებს შორის გაფორმდეს შიდა რეგიონალური ხელშეკრულება როუმინგული ტარიფების შემცირებისა და ერთიანი როუმინგული სივრცის შექმნის მიზნით.
- საანგარიშო პერიოდში გაიმართა „ევროპული დიალოგი ინტერნეტ მმართველობის საკითხებზე“, რომელსაც 300-ზე მეტი ევროკავშირის ქვეყნებისა და ევროსტრუქტურების, ასევე ევროპის პარლამენტისა და ევროპის სატელეკომუნიკაციო ქსელების ოპერატორების ასოციაციების წარმომადგენელი დაესწრო. EuroDIG 2018-ის ფარგლებში, ინტერნეტის მართვასა და ციფრული ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს, მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვა ინტერნეტში, გამოხატვის თავისუფლება, საავტორო უფლებების დაცვა, მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი რეგულაციები (GDPR), კიბერ უსაფრთხოება, ინტერნეტთან და კონტენტთან წვდომა და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება. ფორუმზე დრო დაეთმო ასევე სათემო ინტერნეტიზაციის, დომენების, ინტერნეტში არასრულწლოვანთა დაცვის, ციფრული ეკონომიკის, ციფრული წიგნიერებისა და ინოვაციების საკითხებს.
- .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენისა და .GE ქვეყნის ეროვნული კოდის ზედა დონის დომენის ზონები - განვითარების ტენდენციები და გამოწვევები იყო 2018 წელს გამართული რიგით მეოთხე ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის ერთ-ერთი თემა. ამავდროულად, Geo-IGF 2018-ის ფარგლებში, ინტერნეტ საზოგადოების საერთაშორისო ექსპერტებმა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე ისაუბრეს, როგორებიც არის: ინტერნეტთან წვდომა და ფართობოლოვანი „დაშორება“ - სახელმწიფო და კერძო სექტორის ძირითადი სიახლეები და სათემო ქსელის პერსპექტივები, უსაფრთხო ინტერნეტის „თავსატეხი“ და საქართველო, ინტერნეტ კონტენტი და საავტორო უფლებები - საქართველო და ევროკავშირი, ინტერნეტ ბაზარი - კონკურენცია და სხვა ბარიერები, ასევე, მომხმარებლების ინტერნეტ-მზადყოფნა.
- კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელშეწყობით შეიქმნა .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის ადმინისტრირების საკონსულტაციო საბჭო, რომლის მთავარი მიზანია გაიზარდოს .GE ccTLD-ს ადმინისტრირების პროცესის გამჭვირვალობა. საბჭომ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობა ადმინისტრირების წესების დახვეწაში, ასევე - ადმინისტრირების პროცესის ზედამხედველობა და პრობლემების სწრაფი გამოვლენა, ხელი შეუწყოს ადმინისტრატორს პროცედურების დახვეწის, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, დავებისა და საჩივრების გადანაცვების პროცესში.
- RIPE ქსელის საკოორდინაციო ცენტრსა (NCC) და კომისიას შორის 2017 წლის სექტემბერში გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რამდენიმე უნივერსიტეტში საჯარო ლექციები ჩატარდა თემაზე „ინტერნეტის საფუძვლები და მონაცემთა ბაზის ანალიტიკა“.

51 <http://eapereg.org/index.php/documents/public-reports>.

- კომისიამ მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს ციფრულ ეპოქაში ჟურნალისტიკის ხარისხის შესახებ ექსპერტთა კომიტეტის (MSI-JOQ) შეხვედრებში. აღნიშნული კომიტეტი ორ ძირითად საკითხზე მუშაობს - მედია წიგნიერება ციფრულ ეპოქაში და ციფრული ჟურნალისტიკისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის ნახალისება.
- კომისიამ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების რადიო საკომუნიკაციო სექტორის მე-5 შემსწავლელი ჯგუფის (ITU-R SG5) და მასთან დაკავშირებული სამუშაო ქვეჯგუფების 5A (WP 5A), 5B (WP 5B), 5C (WP 5C) შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა. ITU-R SG5 ჯგუფი შეისწავლის მინისზედა მომსახურებებს, კერძოდ სისტემებსა და ქსელებს ფიქსირებული, მობილური, რადიოდეტერმინაციის, სამოყვარულო და სამოყვარულო-თანამგზავრული სამსახურებისათვის.
- საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო რეგიონებში ჩატარდა TV/FM მაუწყებლობასთან დაკავშირებული ერთობლივი რადიომონიტორინგი, რომელშიც კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და აზერბაიჯანის ტრანსპორტის, კომუნიკაციების და მაღალი ტექნოლოგიების სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მონიტორინგის დამთავრების, მისი შედეგების დამუშავებისა და ურთიერთგაცვლის შემდეგ მხარეებმა ხელი მოაწერეს შესაბამის პროტოკოლს.
- საანგარიშო პერიოდში, ასევე, მობილური კავშირგაბმულობის უსადენო დაშვების ქსელის GSM/UMTS/LTE რადიომონიტორინგით გათვალისწინებული სამუშაოები განხორციელდა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სახელმწიფო სასაზღვრო ზონაში.
- კომისიამ მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის აუზის ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების საკონსულტაციო ჯგუფის (BSDDIF) შეხვედრაში, რომელიც Geneva 06 გეგმის მოდიფიცირების გათვალისწინებულ პროცედურებზე, ასევე, რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის თავისუფალი სიხშირული რესურსის მოდიფიკაციის მიზნით შერჩეული FM სიხშირული რესურსის საკოორდინაციო პროცედურების შესახებ გაიმართა.
- თბილისის, სამცხე-ჯავახეთის, აჭარის და სხვა ზონებისთვის საკოორდინაციო პროცედურებთან დაკავშირებით, უკრაინისა და თურქეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციებთან შეხვედრა გაიმართა, სადაც მოსაზღვრე რეგიონებში მობილური უსადენო დაშვების ქსელების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

# დანართები

## დანართი 1. კომისიის სტრუქტურა



## დანართი 2. კომისიის ბიუჯეტი

	2018 წლის ფაქტიური	2019 წლის გეგმა
სულ შემოსავლები	10,297,052.85	13,540,000.00
რეგულირების საფასური	8,746,995.15	8,155,000.00
სარეზერვო ფონდი		2,151,803.60
სულ ხარჯები	9,242,800.26	13,540,000.00
ძირითადი საშუალებები	395,061.40	323,932.50
საკანცელარიო, საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ-გაზეთების ხარჯები	29,984.05	26,064.00
კომუნიკაციის, ელექტროენერჯის, წყლის და ბუნებრივი აირის და სხვა კომუნალური ხარჯები	159,171.25	184,059.00
ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები	165,863.57	201,000.00
მივლინების ხარჯები	249,422.10	304,650.00
საბანკო მომსახურების ხარჯი	15,302.00	3,000.00
კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა ხარჯები	130,869.00	254,334.00
საპროცენტო შემოსავლები	50,282.70	70,000.00

სხვადასხვა სანევრო გადასახადები	46,149.11	51,591.96
საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები	326,286.15	575,896.85
სხვა საერთო ხარჯები	387,539.58	877,815.67
წარმომადგენლობითი ხარჯები	25,600.00	35,000.00
მიმდინარე რემონტის ხარჯები	16,688.00	338,084.00
შრომის ანაზღაურება	4,124,023.83	4,543,499.60
სახ. ბიუჯეტის და საპენსიო სისტემის გადასახადები	1,020,041.67	1,249,462.39
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები	3,380.50	29,593.60
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურება, სახელმწიფო ბიუჯეტის და საპენსიო სისტემის ხარჯები	271,809.22	246,186.90
შრომის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების ფონდი	1,386,267.00	1,132,633.13
წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი	48,088.88	
რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური	1,499,775.00	3,163,196.40
მედიაწიგნიერების ხარჯები	441,254.05	3,163,196.40

### დანართი 3. მომხმარებელთა საჩივრების სტატისტიკა



წინა წლებთან შედარებით, 2018 წელს მომხმარებელთა მიმართვიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, იმატა განცხადებებისა და საჩივრების რაოდენობამ. კერძოდ, თუკი 2016 წელს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედმა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა 208 საჩივარი განიხილა, ხოლო 2017 წელს - 283, 2018 წელს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 413 საჩივარი/პრეტენზია დაფიქსირდა, საიდანაც უმრავლესობა ძირითადად მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორების მიმართ, უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურებას უკავშირდება, არანაკლებ მნიშვნელოვანია მომსახურებაზე არასწორი საფასურის დარიცხვის საკითხიც. 413 საჩივრიდან დაკმაყოფილდა 394, ხოლო არ დაკმაყოფილდა/დარღვევა არ დადასტურდა 19 საჩივარში.

#### 2018 წლის თემატურად წარმოდგენილი საჩივრების სტატისტიკა<sup>52</sup>

თემატიკა	რაოდენობა
უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	113
მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე	44
მომსახურების პირველადი მიწოდების დაყოვნება ან/და დაუკმაყოფილებლობა	35
მომხმარებელთა არასათანადო ინფორმირება	27
სატელეკომუნიკაციო მომსახურების შეწყვეტა	25
ინტერნეტ მომსახურებაზე ფასების ზრდა	20
პორტირება	15
სპამი	9
ციფრული მაუწყებლობა	7
საანძო მეურნეობა	6
სატელეკომუნიკაციო მომსახურების პაკეტების ცვლილება	6
სააბონენტო ნომრის გასხვისება	5
მედიის მავნე ზეგავლენა არასრულწლოვნებზე	3
სხვა	113

<sup>52</sup> საჩივრების საერთო რაოდენობა და თემატიკის მიხედვით გადანაწილებული საჩივრების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან ზოგიერთი საჩივარი ერთდროულად რამდენიმე საკითხს ეხებოდა.

## დანართი 4. ლიცენზირება და ავტორიზაცია



## დანართი 5. „ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი

2018 წელს დასრულდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტი - „საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარება“. ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, კომისიამ EBRD-ის ექსპერტების რეკომენდაციებით, მოამზადა და პარლამენტში საკანონმდებლო ინიცირებისთვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაუგზავნა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელიც ევროპის კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაშია. კანონპროექტი მიზნად ისახავს ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრის განვითარების ხელშეწყობას, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი გარანტიების შექმნას და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებას. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებით ახალი რეგულაციები შემდეგი დირექტივების შესაბამისად დგინდება: ევროპის პარლამენტისა და კავშირის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურების ზოგადი მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ (ჩარჩო დირექტივა) 2002/21/EC დირექტივა, რომელშიც შევიდა ცვლილება 2009/140/EC დირექტივით; ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურების ავტორიზაციის შესახებ (ავტორიზაციის შესახებ დირექტივა) 2002/20/EC დირექტივა, რომელშიც შევიდა ცვლილება 2009/140/EC დირექტივით; ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის შესახებ (დაშვების მინიჭების შესახებ 2002/19/EC დირექტივა, რომელშიც შევიდა ცვლილება 2009/140/EC დირექტივით; ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ (პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ დირექტივა) 2002/58/EC დირექტივა, რომელშიც შევიდა ცვლილება 2009/136/EC დირექტივით და სანარმოთა შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ ევროკავშირის საბჭოს რეგულაცია (შერწყმის კონტროლის რეგულაცია) N139/2004 - შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს ითვალისწინებს.

კანონში შესატანი ცვლილებებით დგინდება ახალი რეგულაციები:

- ავტორიზაციის შესახებ დირექტივის მოთხოვნის შესაბამისად, ცვლილების მიხედვით კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა შესაძლებელი იქნება კომისიის მიერ გაცემული ზოგადი ნებართვის საფუძველზე. ზოგადი ნებართვით განსაზღვრული პირობები გავრცელდება, როგორც ავტორიზებულ პირებზე, ასევე, პირებზე, რომლებიც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ავტორიზაციის გარეშე განახორციელებენ საქმიანობას ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა ან/და საშუალებების გამოყენებით.
- კომისიამ ზოგადი ნებართვა შესაძლებელია გამოსცეს არაპარმონიზებული/პარმონიზებული რადიოსიხშირულ დიაპაზონებში, როგორც ავტორიზებული ასევე არაავტორიზებული საქმიანობის განსახორციელებლად. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კომისია ახორციელებს რადიო მოყვარულთათვის და საზღვაო ხომალდებისთვის რადიოსახმობისა და ამოცნობის ნიშნების მინიჭებას. რადიოსიხშირული ზოლები გამოყოფილია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის რადიო რეგულაციის შესაბამისად. კანონპროექტის მიხედვით, კომისია უფლებამოსილი იქნება ასეთი რადიოსიხშირული ზოლების გამოყენების პირობები განსაზღვროს ზოგადი ნებართვით. ასევე, ზოგადი ნებართვით იქნება შესაძლებელი ე.წ. WI-FI ოპერატორებისთვის რადიო სიხშირეების გამოყენების პირობების განსაზღვრა. ნებისმიერ მსურველ პირს საშუალება ექნება კომისიაში ავტორიზაციის გავლის შემდგომ, WI-FI ოპერატორებისთვის გამოყოფილი რადიოსიხშირული ზოლისთვის ზოგადი ნებართვით განსაზღვრული პირობების დაცვით მიაწოდოს ინტერნეტ მომსახურება აბონენტს.
- რადიო სიხშირეებით სარგებლობა შესაძლებელი იქნება ლიცენზიის მოპოვების, ან კომისიის გადაწყვეტილებით მინიჭების გარეშე, ზოგადი ნებართვით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. რადიო სიხშირით სარგებლობის უფლება გაიცემა ლიცენზიის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობა არ იქნება მიზანშეწონილი და ლიცენზიის გაცემა აუცილებელი იქნება საზიანო ხელშეშლების თავიდან აცილების, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ტექნიკური ხარისხის უზრუნველყოფის, რადიოსიხშირული სპექტრის ეფექტიანი გამოყენების ან სხვა საზოგადოებრივი მიზნების მიღწევისთვის.

- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადას, 10 წლის ნაცვლად, განსაზღვრავს კომისია, ხოლო ვადის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება ლიცენზიის მფლობელის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციის უკუგების გონივრული დრო.
- იცვლება ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრის, ბაზრის ანალიზის, საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების გამოვლენის და მათთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების თაობაზე კანონით დადგენილ წესებში. მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებად მიიჩნევა ისეთი დომინირებული მდგომარეობა, რომელიც ავტორიზებულ პირს საშუალებას აძლევს არსებითად იმოქმედოს კონკურენტებისგან, მომხმარებლებისგან და ბოლო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად. კომისიას ენიჭება უფლებამოსილება თავად განსაზღვროს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების დადგენის კრიტერიუმები. უფრო მკაფიოდ განისაზღვრება ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით წინასწარი რეგულირების ეტაპები. დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულების ფარგლებში მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირები ვალდებული იქნებიან დაშვებისა და ურთიერთჩართვის უკეთესი პირობების შეთავაზებისას, მონვევის ოფერტის პირობებში ცვლილების შეტანასთან ერთად, უკეთესი პირობების დადგენამდე დადებულ ხელშეკრულებებში შეიტანონ შესაბამისი ცვლილება. დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულების ფარგლებში, საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირები ვალდებული იქნებიან ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების სახეების მიხედვით, შემოსავლებისა და დანახარჯებთან ერთად აწარმოონ აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვა. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულების ფარგლებში, ქსელის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, კომისია უფლებამოსილი იქნება განსაზღვროს ტექნიკური ან საოპერაციო პირობები, რომლებიც უნდა შეასრულონ მომსახურების მიწოდებლებმა და/ან ქსელთან დაშვებით მოსარგებლე პირებმა. სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების დაკისრების მიზნით, კომისია უფლებამოსილი იქნება დაადგინოს არამხოლოდ ქსელის შესაბამის ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და თავისუფალ სიმძლავრეებთან დაშვებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ზღვრული ტარიფი, არამედ ამ მომსახურებების ტარიფიც, ასევე, შეარჩიოს მისი გაანგარიშების მეთოდი. ფუნქციონალური განცალკევების ვალდებულების ფარგლებში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირები ვალდებული იქნებიან განახორციელონ ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების მიწოდება დამოუკიდებლად მოქმედი ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების მიწოდებელი ბიზნეს ერთეულის (მათ შორის, სტრუქტურული ერთეული) საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების არადისკრიმინაციულ მიწოდებას როგორც კონკურენტი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებლებისთვის, ასევე, თავისი საცალო მომსახურებების მიწოდებელი ბიზნეს ერთეულებისთვის. ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, კომისია უფლებამოსილი იქნება საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს დამატებით დააკისროს სხვა სპეციფიკური ვალდებულებები, კერძოდ, ვალდებულებები არ შეზღუდონ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე სხვა ავტორიზებული პირის შესვლა ან კონკურენცია არაკონკურენტული ფასების დანესებით, ბოლო მომხმარებელს არ დაუწესონ არასამართლიანი ფასები, არ ჩააყენონ ბოლო მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფი უპირატეს მდგომარეობაში; არ შეზღუდონ მომხმარებელი კონკრეტული მომსახურების სხვა მომსახურებასთან ერთად შეძენის აუცილებლობის პირობით.
- იცვლება სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების წესი, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მსგავსად, დამრღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის (ჯარიმის) ზედა ზღვარი განისაზღვრება მისი წლიური შემოსავლის პროცენტული მაჩვენებლით. იზრდება იმ პირთა წრე, რომელთა მიმართ კომისიას ექნება უფლებამოსილება გამოიყენოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. კერძოდ, კომისია უფლებამოსილი იქნება დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არავტორიზებულ პირებს, რომლებიც არღვევენ რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის წესებს, ასევე, კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც დაარღვევენ კომისიისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას ან კონცენტრაციასთან დაკავშირებით კანონით განსაზღვრულ წესებს. კანონპროექტით კონცენტრაციასთან დაკავშირებული წესების დარღვევისთვის გათვალისწინებულია დამრღვევისთვის ჯარიმის დაკისრება მისი წლიური ბრუნვის არაუმეტეს ერთი და არაუმეტეს 10 პროცენტის ოდენობით.

- კანონპროექტი ადგენს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესებს და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში არეგულირებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საკითხებს. განისაზღვრება საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების უსაფრთხოების, პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევის, ტერმინალურ მოწყობილობებში კომუნიკაციის კონფიდენციალურობის, ტრაფიკის მონაცემების დამუშავების შეზღუდვის, ლოკაციის მონაცემების დამუშავების შეზღუდვის, საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების ზარებისა და სააბონენტო ცნობარის თაობაზე საკითხების მარეგულირებელ წესები.
- დირექტივის ერთ-ერთი მოთხოვნაა ახალი მარეგულირებელი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით საჯარო კონსულტაციების პროცედურების დანერგვა, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ პირთათვის მოსაზრებების წარმოდგენის დამატებით ეფექტიან საშუალებას და უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთა ფართო წრის ჩართულობას, ზრდის მარეგულირებელი ორგანოს ანგარიშვალდებულებას და ასევე, მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაგეგმილი რეგულაციების გამჭვირვალობას. საჯარო კონსულტაციების გამართვა ემსახურება საზოგადოებრივი ინტერესის იდენტიფიცირებას, ამომწურავი ინფორმაციის მიღებას, რეგულაციების გაუმჯობესებასა და კომისიის გადაწყვეტილებების და დადგენილებების ლეგიტიმურობის გაზრდას. კანონპროექტი განსაზღვრავს საკითხებს, რომელთა შესახებ გადაწყვეტილებას ან დადგენილებას კომისია იღებს საჯარო კონსულტაციის გამართვის საფუძველზე, ასევე ადგენს საჯარო კონსულტაციის გამართვის ზოგად წესებს. კანონპროექტის მიხედვით, კომისია ვალდებულია საჯარო კონსულტაციის გამართვის საფუძველზე მისაღები დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების პროექტები გამოაქვეყნოს ვებ-გვერდზე და დაინტერესებულ პირებს წერილობითი მოსაზრებების წარმოსადგენად განუსაზღვროს ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღისა. კომისია ვალდებულია განსაზღვრულ ვადაში გამოაქვეყნოს წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებები და მათზე კომისიის პასუხი. კანონპროექტი ითვალისწინებს კომისიის მიერ მისაღები ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის შეცვლის ან უცვლელად დატოვების შესაძლებლობას წერილობითი მოსაზრებების განხილვის შემდეგ. კომისიის მიერ ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც სცდება განსახილველად წარმოდგენილი საკითხის ფარგლებს, საჭიროებს ახალი საჯარო კონსულტაციების გამართვას. საჯარო კონსულტაციის გამართვის შემთხვევაში, კომისია ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ღებულობს ზეპირი მოსმენის გარეშე.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებებიდან გამომდინარე, „დამბობილების“ პროექტის ფარგლებში, ასევე, შემუშავდა:

- საჯარო კონსულტაციების გამართვის პროცედურებისა და წესების დამტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტი;
- ზოგადი ნებართვის დამტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტი;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, მომსახურებების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი წესების დამტკიცების შესახებ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი - „ტექნიკური რეგლამენტი რადიო აპარატურის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი რადიო აპარატურის შესახებ“ - რადიო აპარატურის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებული წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციისა და 1999/5/EC დირექტივის გაუქმების შესახებ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2014 წლის 16 აპრილის 53/EU დირექტივის შესაბამისად. აღნიშნული დადგენილების პროექტი უკვე წარედგინა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს;
- ინტერნეტ-მმართველობისა და ქსელის უსაფრთხოების სამწლიანი სამოქმედო გეგმა.

## დანართი 6. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, EBRD-ისა და ევროკავშირის ექსპერტების ჩართულობითა და რეკომენდაციებით, აუდიოვიზუალური მედიის მომსახურების შესახებ, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2010 წლის 10 მარტის N2010/13/EU დირექტივის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა შეისწავლა და აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი საქართველოს პარლამენტს წარუდგინა. საქართველოს კანონმდებლობის აუდიოვიზუალური მედია მომსახურების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივასთან<sup>53</sup> შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება, ასოცირების ხელშეკრულების XXXIII დანართითაა განსაზღვრული. EBRD-ის ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს ექსპერტებმა მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის სრული ანალიზი გააკეთეს, რომლის მიხედვითაც, ქართულ კანონმდებლობაში ევროპულ კანონმდებლობასთან შეუსაბამობაში არსებული მთელი რიგი ნორმების ცვლილებების განხორციელების რეკომენდაცია მისცეს კომისიას. მომზადებული ცვლილებების პაკეტი იმ ნებსებს განსაზღვრავს, რომლებიც მედია პლურალიზმს უზრუნველყოფს. ასევე, ბაზარზე აუდიოვიზუალური მედიის ახალი სახეებისთვის თანაბარი პირობების შექმნას და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მედია მომსახურების ხელმისაწვდომობას ითვალისწინებს. კანონპროექტი არასრულწლოვანთა და მომხმარებელთა დაცვას და სხვადასხვა ნიშნით შუღლის (სიძულვილის) გაღვივებისკენ მიმართულ პროგრამებზე ეფექტიან რეაგირებას უზრუნველყოფს. აღნიშნული ცვლილებების მიღების შემთხვევაში, შეიქმნება მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო პროგრამებისა და რეკლამების მედიის მიერ გავრცელების თანმდევი რისკების და შედეგების ეფექტიანი პრევენციის მექანიზმი.

კანონპროექტის ძირითადი არსი:

- კანონპროექტით, საკანონმდებლო რეგულირებას მაუწყებელთან ერთად დაექვემდებარება გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლები. განსხვავებით მაუწყებლობისაგან, რომლის შემთხვევაში ყველა მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება და პროგრამის ჩვენება ხდება მაუწყებლის მიერ განსაზღვრულ ერთიანი დროს, პირდაპირ და არა ჩანაწერის სახით, გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების შემთხვევაში, პროგრამებს მომხმარებელი გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული პროგრამების კატალოგის საშუალებით, ინდივიდუალურად, მის მიერ შერჩეულ დროს უყურებს.
- კანონპროექტი განსაზღვრავს აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელების პირობებს, რომელთა მიზანია აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელმა, რომელიც არ არის დაფუძნებული საქართველოში, მაგრამ, მისი აუდიოვიზუალური მედია პროდუქცია განკუთვნილია საქართველოს აუდიტორიისთვის, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლები ვალდებული იქნებიან მათი მომსახურების მიმღები პირები უზრუნველყონ შემდეგი ინფორმაციით: კომპანიის სახელწოდება, საკონტაქტო მონაცემები (მისამართი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი), ინფორმაცია მარეგულირებელი ორგანოს შესახებ, რომელსაც აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დარღვევის ჩადენის შემთხვევაში შეუძლია მიმართოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.
- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით პროგრამული შეზღუდვების დაუცველობის შემთხვევები ექცევა მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განხილვის ქვეშ. კერძოდ, ომის პროპაგანდის, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხის შემცველი პროგრამების, პორნოგრაფიის, აგრეთვე ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შეზღუდვა, უხამსობის შემცველი პროგრამის ან რეკლამის და სხვ. განთავსება არ იწვევს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას მაუწყებლისთვის და მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მაუწყებლისთვის ასეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსების აკრძალვის ქმედით მექანიზმებს, კანონპროექტით შეთავაზებულია აღნიშნულ პროგრამულ შეზღუდვებთან დაკავშირებულ დარღვევებზე

<sup>53</sup> 2010 წლის 10 მარტის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2010/13/EU დირექტივა აუდიოვიზუალური მედია მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წერილი სახელმწიფოების კანონებით, რეგულაციებით, ან ადმინისტრაციული აქტებით გათვალისწინებული გარკვეული დებულებების კოორდინაციის შესახებ

მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების კომისიაში ან სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმის დანერგვა.

- დარღვევათა სიმძიმის გათვალისწინებითა და ამ დარღვევებზე მყისიერი რეაგირების უზრუნველყოფისთვის, თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებიდან გამოვა და უშუალოდ კომისიის ან სასამართლოს განსახილველი იქნება ისეთი პროგრამებისა და რეკლამების გადაცემა, რომლებიც შეიცავენ ომის პროპაგანდას, უხამსობას ან/და რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების ამკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, როგორც წესი, აღნიშნული საკითხები რეგულირდება არა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში, არამედ შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ.
- კანონპროექტის მიხედვით, აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლებს უნდა ვალდებულდებოდეს უზრუნველყონ მათ მიერ განთავსებული პროგრამების თანაბარი ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ადმინისტრაციულ ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება დააფინანსოს მაუწყებლის მიერ სატელევიზიო გასართობი/შემეცნებითი გადაცემის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტაციისათვის განეული დამატებითი ხარჯები, გადაცემის ეთერში გასვლის შემდგომ.
- კანონპროექტით ნებადართული იქნება, საქართველოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოებში ავტორიზებული/ლიცენზირებული ტელეარხების თავისუფალი მიღება და შეზღუდვა ტრანზიტი, ასევე, სხვა სახელმწიფოებიდან გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიღება, თუკი მაუწყებელთა და გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული პროგრამები შესაბამისობაში იქნება საქართველოს კანონმდებლობასთან. კანონპროექტი ასევე ადგენს ზემოთ მითითებული აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიღებისა და ტრანზიტის შეზღუდვის პირობებს.
- კანონპროექტით განისაზღვრება ტელე მაუწყებლის მიერ გადაცემულ მთავარ მოვლენაზე სხვა მაუწყებლების მიერ წვდომის მოპოვების ზოგადი პირობები და მთავარი მოვლენის გაშუქების ექსკლუზიური უფლების მფლობელი მაუწყებლის ვალდებულება, უზრუნველყოს წვდომა აღნიშნული მოვლენების საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქების მიზნით. რაც, მაუწყებლის მიერ საჯარო ინტერესის მქონე მოვლენების ექსკლუზიურად გაშუქებისა და საზოგადოების დიდი ნაწილის ასეთ მოვლენებზე წვდომის შეზღუდვის თავიდან აცილებას ემსახურება.
- ევროპული წარმოების სატელევიზიო პროდუქციის გავრცელების ხელშეწყობის მიზნით, კანონპროექტით ბუსტდება ტელე მაუწყებლის მიერ ასეთი პროდუქციისთვის სატელევიზიო დროის გამოყოფის წესი. კერძოდ, მაუწყებელმა მისი სატელევიზიო დროის მინიმუმ 10% დამოუკიდებელი პროდიუსერების მიერ შექმნილი ევროპული წარმოების პროდუქციას უნდა დაუთმოს.

კანონპროექტით შეთავაზებულია მაუწყებლის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვა საეთერო მაუწყებლობასთან დაკავშირებით გავრცელდეს მხოლოდ რადიო არხის მიმართ. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2015 წლის 12 ივნისის ცვლილებების შეტანამდე საერთო საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიის რაოდენობის მფლობელობაზე დაწესებული იყო შეზღუდვა, რომელიც გამონაკლისად იყო სიხშირული რესურსის შეზღუდული რაოდენობის არსებობით და მიზნად ისახავდა სიხშირული რესურსის შეზღუდული რაოდენობის არსებობის პირობებში ერთი პირის მფლობელობაში ამონურვადი სიხშირული რესურსის შეზღუდვად თავმოყრის თავიდან აცილებას, და აქედან გამომდინარე, მედია პლურალიზმისა და სამაუწყებლო ბაზრის განვითარების წახალისებას. მოქმედი კანონმდებლობით თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების, ინტერნეტისა და საკაბელო ქსელების გამოყენებით შესაძლებელია გავრცელდეს ერთი პირის ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირის მფლობელობაში არსებული საერთო სატელევიზიო არხები მათი რაოდენობის მიუხედავად. ამასთანავე, 2015 წლის 17 ივნისიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის თაობაზე საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, აიგო და ფუნქციონირებს ღია საეთერო მულტიპლექს პლატფორმები. მხოლოდ მთელი ქვეყნის მასშტაბით სტანდარტული გარჩევადობის 35-ზე მეტი საეთერო სამაუწყებლო არხის გავრცელება არის შესაძლებელი. მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, სამაუწყებლო არხების გავრცელების მიზნით მულტიპლექსის შესაქმნელად არსებობს დამატებითი რესურსი. 2015 წლის 12 ივნისის, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების შედეგად, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის

უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელს მიეცა თავის ქსელში ერთი პირის ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირის მფლობელობაში არსებული არაუმეტეს 5 ტელე მაუნყებლის გატარების უფლება. ამ საკანონმდებლო ცვლილების პროექტზე საქართველოს პარლამენტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ საკანონმდებლო ცვლილების მიზანი იყო მაუნყებლობის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვის რეგულაციის ახლებურად დამუშავება, რათა კანონმდებლობაში ადეკვატურად ასახულიყო ციფრულ მინისზედა სამაუნყებლო ქსელში სატელევიზიო პროგრამების ღია ეთერით გავრცელებასთან დაკავშირებული სპეციფიკა.

## დანართი 7. რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა

EBRD-ის მიერ დაფინანსებული „საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარების პროექტის“ ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნულ გეგმაში“ ცვლილებები შეიტანა, სადაც წარმოდგენილია ზოგადი ნებართვით განსაზღვრულ რადიოსიხშირულ სპექტრში გამოყენებული მონყობილობების მიმართ მოთხოვნები. კომისიამ საკონსულტაციოდ გამოაქვეყნა სამი პროექტი<sup>54</sup>: ზოგადი ნებართვით გამოსაყენებლად განსაზღვრულ რადიოსიხშირულ სპექტრში მოკლე დისტანციამზე მოქმედი მონყობილობებისადმი ინტერფერენციის მოთხოვნები, ზოგადი ნებართვით გამოსაყენებლად განსაზღვრულ რადიოსიხშირულ სპექტრში თანამგზავრული კავშირის მონყობილობებისადმი ტექნიკური მოთხოვნები და ზოგადი ნებართვით გამოსაყენებლად განსაზღვრულ რადიოსიხშირულ სპექტრში სამოქალაქო დიაპაზონის მონყობილობებისადმი ინტერფერენციის მოთხოვნები. ამის შემდეგ შემუშავდა „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“, ახალი გადამუშავებული პროექტი, რომელსაც აღნიშნული დანართები დაემატა. გამომდინარე იქიდან, რომ კომისიის ერთ-ერთი ფუნქცია რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის მუდმივი მოდიფიცირების უზრუნველყოფაა, რადიო სიხშირეთა საერთო ევროპული განაწილების ცხრილთან (ECA Table) ჰარმონიზაციის კუთხით ქვეყნის მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნულ გეგმის პროექტში შეტანილია გარკვეული სხვა ცვლილებებიც, რომლებიც განპირობებულია ECA Table-ის ბოლო ვერსიით.

## დანართი 8. FAMS - მონიტორინგის სისტემა

კომისიის მიერ დანერგილ პროგრამულ უზრუნველყოფაში FAMS (Frequency Allocation and Monitoring System), რომელიც ვიზუალურად ასახავს უკლებლივ ყველა სიხშირულ რესურსს, დაემატა სხვადასხვა ანალიტიკური მოდული, რომლებიც გვაძლევს შემდეგ ფუნქციონალურ უპირატესობებს: ავტომატურ რეჟიმში შეაფასოს გაცემული სარეგულაციო სიხშირეები, მათი დაკავებულობისა და მიმართულების ზონები; მითითებულ სიხშირულ დიაპაზონში მოახდინოს თავისუფალი რესურსის მოძებნა ETSI-სა და ITU-ს სიხშირული გეგმების მიხედვით; შეიქმნას და დამუშავდეს ნებისმიერი სირთულის რადიო სარეგულაციო ტრასა - მისი რედაქტირებისა და დაზუსტების საშუალებით; ასევე, მოახდინოს ექსპორტი შერჩეული სიხშირული რესურსის Google-ის პროგრამულ უზრუნველყოფაში ისევე, როგორც მოახდინოს ყველა ხელშემშლელი ლინკების დატანა შერჩეულ სადგურებთან ერთად.

## დანართი 9. თავისუფალი სიხშირული რესურსი

კომისია 2 წელიწადში ერთხელ ანაწილებს და აქვეყნებს 87.5–108 მჰც სიხშირულ დიაპაზონში თავისუფალ სიხშირულ რესურსს. ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლის შემდეგ, საქართველოში გამოთავისუფლდა ანალოგურისატელევიზიომაუნყებლობისმე-4 დამე-5 არხებით დაკავებული მეტრული დიაპაზონის სიხშირული ზოლების ნაწილი, რამაც კომისიას FM მაუნყებლობის განხორციელებისთვის გათვალისწინებულ რადიოსიხშირულ ზოლში (87.5მჰც - 108მჰც) გამოთავისუფლებული სიხშირული რესურსის გამოყენების შესაძლებლობა მისცა. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2016 წლის 8 სექტემბერს N614/19 გადაწყვეტილებით, კომისიამ დაამტკიცა და გამოაქვეყნა 87.5 მჰც - 108 მჰც სიხშირულ დიაპაზონში რადიომაუნყებლობის თავისუფალი სიხშირული რესურსი. გადაწყვეტილების მიღებამდე მიმდინარეობდა თავისუფალი სიხშირული რესურსის საერთაშორისო კოორდინაციისა და მებობელ სახელმწიფოებთან შეთანხმების პროცესი. პროცესი გრძელდება და მისი დასრულების შემდეგ, კომისია განახლებულ თავისუფალ სიხშირულ რესურსს გამოაქვეყნებს.

54 <http://bit.ly/2w19tNZ> (WWW.GNCC.GE)

## დანართი 10. განხილული დავები

### ელექტრონული კომუნიკაციების სფერო

- შპს „მაგთიკომთან“ მოქმედი ურთიერთჩართვის შეჩერებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე შპს „ჯეოსელის“ განცხადების განხილვის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ  
დავის საგანი: ურთიერთჩართვიდან გამომდინარე დავალიანება  
შედეგი: შპს „ჯეოსელის“ განცხადების საფუძველზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება  
გადანყვეტილება: N140/16, 15.03.2018;
- შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის“ წინააღმდეგ შპს „ტელეკომპანია დიას“ საჩივრის განხილვის თაობაზე  
დავის საგანი: ღია საეთერო მულტიპლექს პლატფორმასთან დაშვება  
შედეგი: საჩივარი დაკმაყოფილდა  
გადანყვეტილება: N335/16, 07.08.2018
- სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ სს „აი თი დი სი“-ს საჩივრის განხილვის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ  
დავის საგანი: კომისიის მიერ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის შესწავლა  
შედეგი: შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება სს „აი თი დი სი“-ს მოთხოვნის საფუძველზე (მხარეები მორიგდნენ)  
გადანყვეტილება: N415/16, 26.07.2018
- შპს „ფლაი ტივისთან“ მოქმედი ურთიერთჩართვის შეჩერებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე სს „სილქნეტის“ განცხადების განხილვის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ  
დავის საგანი: ურთიერთ ჩართვის შეჩერება, ე.წ. ფროდის დაფიქსირების გამო  
შედეგი: შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება, სს „სილქნეტის“ მიერ განცხადებაზე უარის თქმის გამო  
გადანყვეტილება: N485/16, 16.08.2018
- შპს „მიკრონეტ“-ის წინააღმდეგ ა(ა)იპ „სამოქალაქო აქტივობების ცენტრის“ საჩივრის განხილვის თაობაზე  
დავის საგანი: დაბალი ინტერნეტ ხარისხი  
შედეგი: საჩივარი დაკმაყოფილდა და შპს „მიკრონეტს“ დაეკისრა გაფრთხილება, ასევე დაეკისრა ქმედება: ინტერნეტ-მომსახურების მინორდების თაობაზე სააბონენტო ხელშეკრულების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა 1 თვის ვადაში, ხოლო მომხმარებლებისთვის 24 საათიანი ცხელი ხაზის ფუნქციონირების უზრუნველყოფა 3 თვის ვადაში;
- შპს „ტელეკომპანია დიას“ განცხადებასთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ  
დავის საგანი: „შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის“ წინააღმდეგ შპს „ტელეკომპანია დიას“ საჩივრის განხილვის თაობაზე“ კომისიის გადანყვეტილებით (N335/16, 07.08.2018) დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, კომისიის მიერ შესაბამისი რეაგირება  
შედეგი: შპს „ტელეკომპანია დიას“ განცხადების საფუძველზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება  
გადანყვეტილება: N707/16, 20.12.2018

### მაუწყებლობის სფერო

- სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის მიმართ ა(ა)იპ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ განცხადების განხილვის შესახებ  
დავის საგანი: სოციალური რეკლამის სტატუსით ვიდეო რგოლის განთავსება მაუწყებლების ეთერში  
შედეგი: დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელსა“ და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს დაევალიათ, ა(ა)იპ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ იმგვარად დაკორექტირებული სარეკლამო რგოლის წარდგენის შემთხვევაში რა

დროსაც რგოლიდან ამოღებული იქნება ვებგვერდის - მომხმარებელი.ge-ს სახელწოდება, განათავსონ ვიდეო რგოლი სამაუწყებლო ბადეში სოციალური რეკლამის სტატუსით;  
გადანყვეტილება: N96/16, 22.02.2018

2. შპს „სტუდია მაესტროს“ წინააღმდეგ ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდის“, ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობის“, ა(ა)იპ „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“, ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივისა“ და ა(ა)იპ „შავი და ბალტიის ზღვის ალიანსის“ განცხადების განხილვის შესახებ  
დავის საგანი: შპს „სტუდია მაესტროს“ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვისას პროცედურული დარღვევები  
შედეგი: არ დაკმაყოფილდა  
გადანყვეტილება: N133/16, 13.03.2018

3. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ საჩივრის განხილვის თაობაზე  
დავის საგანი: ვიდეო რგოლის სოციალური რეკლამის სტატუსით მაუწყებლის ეთერში განთავსება  
შედეგი: არ დაკმაყოფილდა  
გადანყვეტილება: N172/16, 29.03.2018

4. შპს „მედია რაითს ჯორჯიას“, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის, შპს „ტელეიმედისა“ და შპს „სტუდია მაესტროს“ მიმართ შპს „კატევე 1“-ის საჩივრის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ  
დავის საგანი: დაადგინოს კომისიამ შპს „მედია რაითს ჯორჯიას“, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის, შპს „ტელეიმედის“ და შპს „სტუდია მაესტროს“ მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 401 მუხლის მე-8 პუნქტის ბ), გ) დ) და ვ) ქვეპუნქტების დარღვევის ფაქტები და გატარდეს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები  
შედეგი: შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება, ვინაიდან კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ იმავე მხარეებს შორის იმავე მოთხოვნით იხილებოდა დავა  
გადანყვეტილება: N173/16, 29.03.2018

5. შპს „მედია რაითს ჯორჯიას“ მიმართ შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ საჩივრის განხილვის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ  
დავის საგანი: ფასიანი ტრანზიტის თაობაზე ხელშეკრულების პირობები  
შედეგი: შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ განცხადების საფუძველზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება (კომისიაში გაიმართა რამდენიმე სხდომა და სამუშაო შეხვედრა, რა დროსაც კომისიამ შეძლო მოდავე მხარეთა პოზიციების დაახლოება და დავის აღმოფხვრა);  
გადანყვეტილება: N414/16, 26.07.2018

6. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ კომპანია “European Profiles S.A.”-ის საჩივრის განხილვის თაობაზე  
დავის საგანი: ვიდეო რგოლის მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის სტატუსით განთავსება  
შედეგი: საჩივარი არ დაკმაყოფილდა  
გადანყვეტილება: N461/16, 09.08.2018

7. შპს „ტელეიმედის“ და შპს „სტუდია მაესტროს“ და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის მიმართ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატის კახა კუკავას საჩივრის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ  
დავის საგანი: კვალიფიკაციური საარჩევნო სუბიექტის მიმართ, მაუწყებლების მხრიდან დისკრიმინაციული მიდგომა კანდიდატების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების გაშუქების ნაწილში და კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების დებატებში მიუწვევლობა  
შედეგი: შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება, ვინაიდან, გაშუქების პროცესში დისკრიმინაციულობის დადგენის საკითხი წარმოადგენს თვითრეგულირების ორგანოში განსახილველ საკითხს, ხოლო დებატებში კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების დისკრიმინაციულ მიწვევასთან დაკავშირებით, კომისიამ უნდა იმსჯელოს არჩევნების დასრულების შემდგომ.  
გადანყვეტილება: N610/18, 25.10.2018

8. შპს „ტელეიმედისა“ და შპს „სტუდია მაესტროს“ მიმართ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატის კახა კუკავას საჩივრის განხილვის თაობაზე

დავის საგანი: კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამის მაუწყებლის ბადეში განუთავსებლობის გამო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მიღება კომისიის მიერ და პრაქტიკის დამკვიდრება, რომლის თანახმად, ნებისმიერი მაუწყებელი ვალდებული იქნება განათავსოს ნებისმიერი შინაარსის წინასაარჩევნო რეკლამა, ვიდეო რგოლის კანონთან შესაბამისობის გადამოწმების გარეშე

შედეგი: კ.კუკავას საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაუწყებლების მიმართ შედგა სამართალდარღვევის ოქმები საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ გათვალისწინებული ვალდებულების (კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსება) დარღვევის გამო; არ დაკმაყოფილდეს საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, საერთო ეროვნულ მაუწყებლებს დაეკისრებოდა წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის სტატუსით წარდგენილი ვიდეორგოლის კანონმდებლობის შესაბამისობის გარეშე, სამაუწყებლო ეთერში უპირობოდ განთავსება  
გადანყვეტილება: N611/22, 25.10.2018

9. სსიპ „დეპოზიტების დამღვევის სააგენტოს“ განცხადების განხილვის თაობაზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის და შპს „ტელეიმედის“ მიმართ

დავის საგანი: წარდგენილი ვიდეო რგოლის მაუწყებლის სამაუწყებლო ბადეში სოციალური რეკლამის სტატუსით განთავსება

შედეგი: ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სსიპ „დეპოზიტების დამღვევის სააგენტოს“ განცხადება და დაევალოთ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ და შპს „ტელეიმედს“ სსიპ „დეპოზიტების დამღვევის სააგენტოს“ მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაკორექტირებული ვიდეო რგოლის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული ვიდეო რგოლის სამაუწყებლო ბადეში სოციალური რეკლამის სტატუსით განთავსება;  
გადანყვეტილება: N683/16, 13.12.2018

## დანართი 11. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება

### ელექტრონული კომუნიკაციების სფერო

1. კომპანია: შპს „მედიაკომი“

საფუძველი: რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმების წარმოდგენლობა;

პასუხისმგებლობის სახე: წერილობითი გაფრთხილება;

გადანყვეტილება: N06/18; 11.01.2018;

2. კომპანია შპს „ქეი ენდ ქეი თივი“

საფუძველი: რეგულირების საფასურის გადაუხდელობა;

პასუხისმგებლობის სახე: გაფრთხილება;

გადანყვეტილება : N16/18; 18.01.2018;

3. კომპანია: შპს „ვიონი საქართველო“

საფუძველი: წერილობით დადებული ხელშეკრულების გარეშე მომხმარებლისთვის მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდება;

პასუხისმგებლობის სახე: ჯარიმა 90,000 ლარი;

გადანყვეტილება: N21/18 25.01.2018;

4. კომპანია: შპს „ტივიჯი“;

საფუძველი: კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე, ავტორიზებული პირის წილის გასხვისება;

პასუხისმგებლობის სახე: გაფრთხილება;

გადანყვეტილება: N22/18; 25.01.2018;

5. კომპანია: შპს „ოპტიმალნეტვორქი“

საფუძველი: სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისა და რეგულირების საფასურის გაანგარიშებების წარმოდგენლობა, რეგულირების საფასურის გადაუხდელობა;

პასუხისმგებლობის სახე: გაფრთხილება

გადანყვეტილება: N23/18; 25.01.2018

6. კომპანია: შპს „TV ERA“;  
საფუძველი: საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევით სამაუწყებლო არხების გადაცემა;  
შედეგი: ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და განთავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.  
გადანყვეტილება: N39/18; 01.02.2018;
7. კომპანია: შპს „ა+ბ“  
საფუძველი: საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევით სამაუწყებლო არხების გადაცემა;  
პასუხისმგებლობის სახე: გაფრთხილება  
გადანყვეტილება: N41/18; 01.02.2018;
8. კომპანია: შპს „მეტეხი 2014“  
საფუძველი: საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევით სამაუწყებლო არხების გადაცემა;  
პასუხისმგებლობის სახე: გაფრთხილება  
გადანყვეტილება: N74/18; 15.02.2018;
9. კომპანია: შპს: „სუპერ ტვ“  
საფუძველი: საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევით სამაუწყებლო არხების გადაცემა;  
პასუხისმგებლობის სახე: ჯარიმა 30,000 ლარი;  
გადანყვეტილება: N93/18; 22.02.2018;
10. კომპანია: შპს „გეო ვლანი“  
საფუძველი: რეგულირების საფასურის გაანგარიშების გადაუხდელობის გამო;  
პასუხისმგებლობის სახე: გაფრთხილება;  
გადანყვეტილება: N94/18; 22.02.2018;
11. შპს „ვიონი საქართველო“  
საფუძველი: სააბონენტო ნომრებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებების გამოყენებით არასანქცირებული სარგებლობის შედეგად მოხდა საერთაშორისო ზარების ადგილობრივ ზარებად წარმოჩენა;  
შედეგი: ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და განთავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.  
გადანყვეტილება: N134/18, 13.03.2018;
12. კომპანია: შპს „მაგთიკომი“  
საფუძველი: მომხმარებელთა ჯგუფის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება სხვა ავტორიზებულ პირთა და მომხმარებელთა ჯგუფების ხარჯზე, რითაც ავტორიზებულმა პირმა დაარღვია დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის სპეციფიკური ვალდებულება, როგორც მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე, ასევე, ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) მოძრავი სატელეფონო ხმოვანი მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტზე.  
პასუხისმგებლობის სახე: წერილობითი გაფრთხილება;  
გადანყვეტილება: N137/18; 15.03.2018;
13. კომპანია: შპს „ჯოსელი“  
საფუძველი: მომხმარებელთა ჯგუფის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება სხვა ავტორიზებულ პირთა და მომხმარებელთა ჯგუფების ხარჯზე, რითაც ავტორიზებულმა პირმა დაარღვია დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის სპეციფიკური ვალდებულება, როგორც მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე, ასევე, ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) მოძრავი სატელეფონო ხმოვანი მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტზე.  
პასუხისმგებლობის სახე: წერილობითი გაფრთხილება;  
გადანყვეტილება: N138/18; 15.03.2018;
14. კომპანია: შპს „ვიონი საქართველო“  
საფუძველი: 2017 წლის 6 თვის პერიოდის შემოსავლების და ხარჯების განცალკევებული აღრიცხვის აუდირებული ანგარიშის წარმოუდგენლობა

პასუხისმგებლობის სახე: გაფრთხილება  
გადანყვეტილება: N141/18, 15.03.2018;

15. კომპანია: შპს „მედიაკომი“  
საფუძველი: სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისა და რეგულირების საფასურის გაანგარიშებების წარმოდგენლობა;  
პასუხისმგებლობის სახე: ჯარიმა 3,000 ლარი;  
გადანყვეტილება: 143/18, 15.03.2018;

16. კომპანია: შპს „ზანდო 2004“  
